# შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№14 (9.628)

26 აპრილი-3 მაისი 2014 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


## ხორბლის ნათესებს მავნებელი შეესია



დედოფლისწყაროს რაიონში ხორბლის ნათესებს „ბუგრი“ შეესია და მცენარეს აზიანებს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, ხორბლის ნათესების 70%-ს დაზიანება ემუქრება. მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლისთვის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს 3500 ლიტრამდე ფართო მოხმარების ინსექტიციდი „ალპაკი 100 ეკ“ გადაეცა, რომლითაც 23 000 ჰექტარის დამუშავება იგეგმება.

„სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობისგან მიღებულ შეტყობინებაზე დროული რეაგირება და მათი დახმარება მნიშვნელოვანია, რათა თავიდან ავიცილოთ ან მინიმუმამდე დავიყვანოთ მოსალოდნელი ზარალი“,- აღნიშნა სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიამ.

„ბუგრი“ - მარცვლეული კულტურის მავლებელია, რომლის ინტენსიური გავრცელება საგრძნობლად აზიანებს და ანადგურებს ხორბლის ნათესებს.

„ძალიან სწრაფად და მასიურად გავრცელდა მავნებელი და სახელმწიფომ მყისიერი რეაგირება მოახდინა. მოგეხსენებათ, დედოფლისწყაროში ძირითადად მარცვლეული კულტურები ითესება, ამიტომაც, შეტყობინების მიღებისთანავე 24 საათის განმავლობაში მოხერხდა სამინისტროსთან კომუნიკაცია და საწამლი საშუალების ჩამოტანა, რომელსაც სახელმწიფო მოსახლეობას უსასყიდლოდ გადასცემს,“ - აღნიშნა კახეთის გუბერნატორმა ირაკლი შიოლაშვილმა.

სპეციალისტების თქმით, მოსახლეობის ჩართულობა მავნებლის საწინააღმდეგო ღონისძიებებში ძალიან მნიშვნელოვანია. გაზაფხულზე დროულად და სრულფასოვნად ჩატარებული აგრო-მექანიკური ღონისძიებები საგრძნობლად ამცირებს მავნებლის რიცხოვნობას.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ საჩუქრად მიღებული ინსექტიციდის განაწილებას ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულები ხელმძღვანელობენ. ქალაქ დედოფლისწყაროს ტერიტორიული ორგანოს რწმინებული ბესიკ ცისკარაული გაზეთ „შირაქთან“ საუბარში განმარტავს, რომ ქალაქ დედოფლისწყაროში მაცხოვრებლებზე ოფიციალურად 4 000 ჰექტრამდე მარცვლეული კულტურების ნათესებია რეგისტრირებული, საიდანაც ბოლო მონაცემებით 3 000 ჰა ტერიტორიისთვის პრეპარატის გაცემა უკვე დასრულებულია.

„აქტიურად ვაწარმოებთ პრეპარატის მოსახლეობისთვის საჩუქრად გადაცემას. აღდგომის უქმე დღეებშიც კი არ გავჩერებულვართ და არანაირი შეფერხება არ გვქონია. რაც შეეხება კითხვას, თუ რა ოდენობით და რა პრინციპით გაიცემა, მინდა გითხრათ, რომ ჰექტარზე 150 გრამის ოდენობით გავცემთ. მოქალაქეებს არანაირი განცხადების დაწერა არ უწევთ, წარმოადგენენ პირადობის დამადასტურებელ მოწმობას და იმის მიხედვით, თუ რა ფართობის ნაკვეთს ფლობს, ვახდენთ ალპაკის გაცემას. პროცესი რამდენიმე დღეში დასრულდება. ზოგმა გვიან გაიგო, ზოგს განმეორებით სურს პრეპარატის ნაკვეთში შეტანა, თუმცა მინდა გითხრათ, რომ არცერთ მოქალაქეზე ინსექტიციდი განმეორებით არ გაგვიცია, რადგან მას თავისი ვადები აქვს, შესაძლოა არც დასჭირდეს დამატებით გამოყენება. ამას გარდა, სოფლის რწმუნებულებსაც გადაეცათ და თავის მხრივ, ისინი ადგილზე უწევენ კოორდინაციას. პროცესი შეფერხების გარეშე მიმდინარეობს,“ - აღნიშნავს ბესიკ ცისკარაული.

## იძულებითი გრაფიკი - წყლისათვის

### ადგილობრივი ხელისუფლება დებეტის გასაზრდელად ალტერნატიულ გზებს ეძებს...

***დედოფლისწყაროში რამდენიმე დღეა, წყალთან დაკავშირებული აჟიოტაჟი არ ცხრება. წყლის მიწოდების 24-საათიანი რეჟიმი დაირღვა და ხალხი წყლის გარეშე დარჩა. დედოფლისწყაროელთა პროტესტის მიზეზი არა წყლის მიწოდების შეწყვეტა, არამედ გაუფრთხილებლობა იქცა.***

მოსახლეობა ამბობს, რომ სასმელი წყლის გარეშე დარჩენილებს უამრავი პრობლემა შეექმნათ. „წინასწარ ინფორმირებულები რომ ვყოფილიყავით, მარაგს ავიღებდით და ასე უწყლოდ არ დავრჩებოდით. რამდენი ხანია, წყლის მიწოდების პრობლემა არ შეგვქმნია და რას მოვიფიქრებდით, თუ ამდენი ხნით გაითიშებოდა“- აცხადებენ ქალაქ დედოფლისწყაროს მცხოვრებნი. მოსახლეობა საკმაოდ აქტიურია სოციალურ ქსელშიც.

გაზეთი „შირაქი“ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს სერვის-ცენტრის მენეჯერს გია გოგილაშვილს ტელეფონით დაუკავშირდა. ის ამ დროს წყლის ერთ-ერთი სათავე ნაგებობის გამწმენდ სამუშაოებზე იმყოფებოდა. როგორც მან ჩვენთან საუბრისას განაცხადა, წყლის დონის დაკლება რეზერვუარებში გვალვიანმა და უნალექო ზამთარმა განაპირობა. ამიტომ, „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ იძულებული გახდა, გრაფიკზე გადასულიყო. გრაფიკი კი, რომელიც, მართალია, დროებითია, ასე გამოიყურება: **ყოფილი პოლიციის შენობის ქვევით ქალაქ დედოფლისწყაროსა და სოფელ ხორნაბუჯის, ხოლო ყოფილი პოლიციის შენობის ზემოთ ქალაქისა და სოფელ სამრეკლოს მოსახლეობა წყალს დღეგამოშვებით მონაცვლეობით მიიღებს. ანუ, პირველი ნაწილი ერთ დღეს, მეორე კი - მეორე დღეს – გრაფიკის სათავის ათვლის წერტილსაც და საზღვარსაც ყოფილი პოლიციის შენობა წარმოადგენს.**

გია გოგილაშვილის განცხადებით, ეს გრაფიკი დროებითია და უახლოეს მომავალში მოსახლეობა წყალს კვლავ ძველი, 24 საათიანი გრაფიკით მიიღებს. მანამდე კი მიმდინარეობს როგორც სათავე ნაგებობების, ისე რეზერვუარების გამწმენდი სამუშაოები. "შარშანაც მსგავსი სიტუაცია შეიქმნა, მაგრამ ე.წ.თამარის წყაროს სათავე ნაგებობის გაწმენდის შემდეგ წყლის დონემ მკვეთრად მოიმატა. ახლაც იმავე შედეგს ველით".

დედოფლისწყაროს ადგილობრივი ხელმძღვანელობა პრობლემის შექმნისთანავე შეეცადა მის შესწავლას და პრობლემის აღმოფხვრის მიზნით დაიწყო ალტერნატიული გზების მოძიება.

მუნიციპალიტეტის გამგებლის ნიკოლოზ ჯანიაშვილის ინიციატივითა და ძალისხმევით ამ დღეებში დედოფლისწყაროში ჩამოვლენ გეოლოგები, რომლებიც ახალი წყაროების საძიებო სამუშაოებს ჩაატარებენ. გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ხელმძღვანელობაც გვერდში დგომას პირდება დედოფლისწყაროელებს და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ტექნიკით უზრუნველყოფს.

სპეციალისტები იმედოვნებენ, რომ ამ სამუშაოების ჩატარების შემდეგ დედოფლისწყაროში წყლის არასაკმარისი დებეტის პრობლემა საბოლოოდ წარსულის კუთვნილება გახდება.

მანამდე კი დედოფლისწყაროელებს წყლის გრაფიკის ატანა ისევ მოგვიწევს, ოღონდ ამჯერად – დროებით...

ინგა შიოლაშვილი

### ჩეხეთის ელჩი დედოფლისწყაროში



გვ. 3

### დედოფლისწყაროელები სასამართლოს დაბრუნებას ითხოვენ



გვ. 4

### ადმინისტრაციული წესით ორი პირი დააკავეს

გვ. 4


### „დედოფლისწყაროს საათი“

„ობიექტივზე“ კვირა 17:30


C M Y K

## ირაკლი ღარიბაშვილი ისრაელის შინაგან საქმეთა მინისტრს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ისრაელის შინაგან საქმეთა მინისტრ გიდეონ საარს შეხვდა. პრემიერის ადმინისტრაციის ინფორმაციით , მხარეებმა საქართველო—ისრაელის ურთიერთთანამშრომლობასთან და უვიზო რეჟიმთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს.

პრემიერმა მადლობა გადაუხადა გიდეონ საარს საქართველოში ვიზიტისთვის, რაც, მისი თქმით, კიდევ ერთი დადასტურებაა ორ ქვეყანას შორის მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობებისა.

შეხვედრაზე მხარეებმა ისტორიული უწოდეს გადაწყვეტილებას ორმხრივი უვიზო რეჟიმის შესახებ. საქართველოს მთავრობის მეთაურის განცხადებით, აღნიშნული გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაღრმავებას, მათ შორის ტურიზმისა და ვაჭრობის სფეროში, ასევე ინვესტიციების მოზიდვის კუთხით.

საუბარი შეეხო საქართველოს მთავრობასა და ისრაელის სახელმწიფოს მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ არსებულ შეთანხმებას და მასთან დაკავშირებულ საკითხებსაც.

შეხვედრას ისრაელის სახელმწიფოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი ნეთანელ იზააკი, ისრაელის სახელმწიფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში იუვალ ფუქსი და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე დაესწრნენ.

## დავით უსუფაშვილი – ევროკავშირის კარი საქართველოსთვის ღიაა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დღესვე შეგვიძლია შესვლა

პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის განცხადებით, ევროკავშირის კარი საქართველოსთვის ღიაა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქვეყანას იქ შესვლა დღესვე შეუძლია. საფრანგეთისა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრებთან შეხვედრის შემდეგ, დავით უსუფაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ ქვეყნის მთავარი ამოცანა ასოცირების შეთანხმების გაფორმებაა, ხოლო ის, თუ რა იქნება 10, 20, ან 25 წლის შემდეგ, დავით უსუფაშვილის თქმით, ამაზე მინიშნება იმას ნიშნავს, რომ ევროკავშირში ინტეგრაცია შეიძლება მოხდეს უფრო ადრე, ან უფრო გვიან.

“პირველად მოხდა, როცა ევროპარლამენტმა რამდენიმე დღის წინ მკაფიოდ განაცხადა, რომ საქართველოს, მოლდოვას და უკრაინას აქვს ევროპული პერსპექტივა. ეს იმას ნიშნავს, რომ ევროკავშრის კონსტიტუციის 49-ე მუხლი გამოყენებადია საქართველოსთვისაც. ეს იმას ნიშნავს, რომ ევროკავშირის კარი საქართველოსთვის დახურული კი არ არის, არამედ ღიაა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ იქ შესვლა დღესვე შეგვიძლია. ასე ევროკავშირში არც ერთი ქვეყანა არ გაწევრიანებულა. პოლონეთი, ჩეხეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნები წლების განმავლობაში იცდიდნენ და მუშაობდნენ ევროკავშირში გაწევრიანებისთვის. ზოგ მათგანს 10 წელზე მეტი დასჭირდა”, - განუცხადა ჟურნალისტებს დავით უსუფაშვილმა ლორან ფაბიუსთან და შტაინმაიერთან გამართული შეხვედრის შემდეგ.

## დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში

2014 წლის 12 აპრილს დედოფლისწყაროს სპორტულ დარბაზში ჩატარდა მუნიციპალიტეტის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში, შეჯიბრის მიზანი იყო მაგიდის ჩოგბურთის პოპულარიზაცია და ნიჭიერი ჩოგბურთელების გამოვლენა. ტურნირში მონაწილეთა ასაკი შეუზღუდავი იყო. შეჯიბრი, დებულების მიხედვით, უნდა გამართულიყო როგორც გუნდური, ისე პირადი პირველობის მსურველთათვის, მაგრამ გაიმართა მხოლოდ პირად პირველობაში.

ტურნირი ჩატარდა ოლიმპიური სისტემით და გამოვლინდნენ პირადი პირველობის ფინალისტები. კერძოდ:

პირველი ადგილი დაიკავა გურამ თეთვაძემ (სოფელი სამრეკლო); მეორე ადგილი - მამუკა ალადაშვილმა - ქ.დედოფლისწყარო; მესამე ადგილი - ზაზა კობაიძემ - სოფელი არხილოსკალო.

ფინალისტები დაჯილდოვდნენ შესაბამისი სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.

## განვითარების ბანკის” შესახებ საკანონმდებლო პაკეტი პარლამენტში ინიცირებულია

“საქართველოს განვითარების ბანკის” შესახებ საკანონმდებლო პაკეტი პარლამენტში უკვე ინიცირებულია. მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივა პარლამენტის ბიუროს დღეს წარედგინა.

კანონპროექტის თანახმად, “საპარტნიორო ფონდის” რეორგანიზაციის შედეგად იქმნება სააქციო საზოგადოება — “საქართველოს განვითარების ბანკი”. კანონპროექტი განსაზღვრავს ბანკის შექმნის, საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს და ფუნქციებს. კერძოდ, “განვითარების ბანკი” უფლებამოსილი იქნება, განახორციელოს სესხების გაცემა კომერციული ბანკის მეშვეობით, გარანტიების გაცემა, დაზღვევის ოპერაციები, ობლიგაციების გამოშვება, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობა.

ამასთან, “განვითარების ბანკს” ეკრძალება დეპოზიტების მიღება და ანგარიშსწორების მომსახურების განხორციელება.

პროექტით განისაზღვრება “განვითარების ბანკის” მმართველობის სტრუქტურა, მისი სამეთვალყურეო საბჭოსა და პრეზიდენტის უფლებამოსილებები. გარდა ამისა, კანონპროექტში მოცემულია მთელი რიგი დამატებითი დებულებები, რომლებიც ითვალისიწინებს საპარტნიორო ფონდის რეორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს.

საკანონმდებლო პაკეტის ინიცირებისას, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა შესაბამის კომიტეტებს სთხოვა, რომ საკითხის საკომიტეტო მოსმენაზე გატანამდე შეხვედრები გაიმართოს დაინტერესებულ მხარეებთან და კანონპროექტი პარლამენტში მაქსიმალურად მომზადებული გავიდეს. ამასთან, დღეს ბიუროს წარედგინა მთავრობის მიმართვა, რომელიც პარლამენტში წარდგენილი საქართველოს სუვერენული ფონდის შესახებ საკანონმდებლო პაკეტის უკან გაწვევას ითვალისწინებს.

## საქართველოს პირადი პირველობა ქართულ ჭიდაობაში

2014 წლის 4-5-6 აპრილს, ქ. ახმეტაში, ჩატარდა საქართველოს პირადი პირველობის ფინალური შეჯიბრი ქართულ ჭიდაობაში, 1998-1999 წელს დაბადებულ ჭაბუკთა შორის.

აღნიშნულ ტურნირზე დედოფლისწყაროელმა სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზეს. ნიკა კობაიძემ, 50კგ. წონით კატეგორიაში,მოიპოვა პირველი ადგილი (მწვრთნელი კახა წიკლაური).

ვაჟა ბუბუნაურმა, 46კგ. წონით კატეგორიაში - მეორე ადგილი (მწვრთნელი კახა წიკლაური).

გიორგი გუგენიშვილმა, 81კგ. წონით კატეგორიაში-მესამე ადგილი (მწვრთნელი ვაჟა მოსულიშვილი).

## არსენ მეკოკიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში

2014 წლის 12-13 აპრილს,ქ.საგარეჯოში,ჩატარდა მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის,ყოფილი საბჭოთა კავშირის 17 გზის ჩემპიონის,სპორტის დამსახურებული ოსტატის,არსემ მეკოკიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში.ტურნირის მიზანი იყო თავისუფალი ჭიდაობის პოპულარიზაცია და პერსპექტიული მოჭიდავეების გამოვლენა.

ტურნირი ჩატარდა 23,26,29,32,35,38,42,47,53,58,66,73,+73 წონით კატეგორიებში.

დედოფლისწყაროელმა სპორტსმენმა-ნიკა ბიკაშვილმა-42კგ.წონით კატეგორიაში, დაიკავა პირველი ადგილი,ხოლო,ილია ჭუჭულაშვილმა,47 კგ.წონით კატეგორიაში-მესამე ადგილი.(მწვრთნელი დათო გონაშვილი)

## მე-12 კლასელების გამოსაშვები გამოცდები 21 მაისს დაიწყება

საქართველოს მასშტაბით მე-12 კლასელების გამოსაშვები გამოცდები 21 მაისს დაიწყება, - ამის შესახებ ერთიანი ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა , მაია მიმინოშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მაია მიმინოშვილის თქმით, მე-12კლასელებს ჯერ სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩაბარება მოუწევთ, რათა შემდგომ ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიიღონ მონაწილეობა.

გამოსაშვები გამოცდები ორ ნაწილად არის გაყოფილი. მე-12 კლასელები გამოცდას ოთხ საგანში ჩააბარებენ - ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ისტორიაში, უცხო ენასა და მათემატიკაში.

მაია მიმინოშვილმა აღნიშნა, რომ მე-12 კლასელების საგამოცდო პერიოდი 20 მაისს დაიწყება და 25 მაისს დასრულდება.

მისივე თქმით, 20 მაისს მოსწავლეები კომპიუტერთან საგამოცდო პროგრამას გაეცნობიან და ივარჯიშებენ. უშუალოდ გამოცდა 21 მაისს ქართულ ენასა და ლიტერატურაში დაიწყება და ბოლო გამოცდა 24 მაისს მათემატიკაში იქნება.

მაია მიმინოშვილმა აღნიშნა, რომ გამოცდებზე იმ მეთორმეტე კლასელებსაც იწვევენ, რომლებმაც შემოდგომის სესიაზე რომელიმე საგანში ბარიერის გადალახვა ვერ მოახერხეს და მათ ექნებათ შესაძლებლობა, ხელახლა ჩააბარონ ამ საგანში გამოცდა.

ამასთან, 25 მაისს იქნება გამოცდა არაქართულენოვანი სკოლების მე-12 კლასელებისთვის ქიმიაში და იმ აბიტურიენტებისათვის, რომლებმაც ქიმიაში ბარიერი ვერ გადალახეს. მეთერთმეტე კლასელებისათვის საგამოცდო პერიოდი 25 მაისს დასრულდება.

მიმინოშვილის განცხადებით, რეგისტრირებული მე-12 კლასელების რაოდენობა წელს უფრო ნაკლებია, ვიდრე წინა წლებში იყო და 38 000-ზე მეტს შეადგენს.

მე-12 კლასელებს საგამოცდო მოსაწვევი ბარათები მაისის ბოლოს დაურიგდებათ. ბარათებში გაწერილი იქნება განრიგი და დრო, თუ როდის უნდა ჩააბარონ საგნებში გამოცდები.

ამასთან, მიმინოშვილმა აღნიშნა, რომ წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებში დარეგისტრირებულია 36 500 აბიტურიენტი და მათი უმეტესობა მე-12 კლასელები არიან. გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა დასძინა, რომ წელს საგნებში მე-12 კლასელებისათვის ბარიერი შეადგენს 5-დან 10 ბალიან შკალას და მოსწავლეებმა გამოცდის ჩასაბარებლად სულ მცირე 5.5 ქულა უნდა მიიღონ, რათა გამოცდა დაძლიონ.

მაია მიმინოშვილმა წარმატება უსურვა მე-12 კლასელებს და იმედი გამოთქვა, რომ მათი უმეტესობა ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიიღებს შემდგომ მონაწილეობას.

ამასთან, წელს ერთიანი ეროვნული გამოცდები ქართულ ენასა და ლიტერატურაში 26 ივნისს დაიწყება.

## საინიციატივო ჯგუფებისთვის კანდიდატის წარდგენის ვადა გაიზარდა

2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე საინიციატივო ჯგუფებისთვის რეგისტრაციისა და კანდიდატის წარდგენის ვადები შეიცვალა. საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილების საფუძველზე, ზემოაღნიშნული პროცედურისთვის საინიციტაივო ჯგუფებს ვადა 10 დღით გაეზარდათ.

შესაბამისად, რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაციის წარდგენის ბოლო ვადად 29 აპრილი განისაზღვრა (საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილების მიხედვით - კენჭისყრამდე არაუგვიანეს 47-ე დღისა).

საინიციატივო ჯგუფების მიერ მხარდამჭერთა სიების წარდგენის ბოლო ვადა 6 მაისია.

## სათნოების სახლს სააღდგომო ნობათი გადაეცა



დედოფლისწყაროს სათნოების სახლს სააღდგომო ნობათი გადაეცა, საჩუქარი მიუსაფართა სახლში დედოფლისწყაროს გამგეობის თანამშრომლებმა მიიტანეს.

როგორც სათნოების სახლის ბენეფიციარებს დედოფლისწყაროს გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა განუცხადა, ამ ჟესტით სურდათ, მცირე ყურადღება გამოეჩინათ და სოციალურად დაუცველთათვის აღდგომის დღესასწაული მიელოცათ. მადლიერმა მოხუცებმა გამგებელი სიმღერით გააცილეს. ბოლო მონაცემებით დედოფლისწყაროს სათნოების სახლში 250 ხელმოკლე მოქალაქეა რეგისტრირებული.

სათნოების სახლის ხელმძღვანელის ციცო დარჩიაშვილის განცხადებით, ბენეფიციარები ამგვარ ყურადღებას ხელისუფლების მხრიდან ყოველთვის გრძნობენ. მისი თქმით, ამჯერად სათნოების სახლის წლიური დაფინანსება კიდევ გაიზარდა, რამაც მენიუს გაზრდის საშუალება მისცა.

# ჩეხეთის ელჩი დედოფლისწყაროში



23 აპრილს ჩეხეთის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ტომას პერნიცკი დედოფლისწყაროს ეწვია და ახმეტისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტების გამგებლებს ბექა ბაიდაურსა და ნიკოლოზ ჯანიაშვილს გამგეობის შენობაში შეხვდა. ელჩი მეცხვარეთა პრობლემებით დაინტერესდა და ჩეხური მხარის თანადაფინანსებით მიმდინარე პროექტების დეტალებზე ისაუბრა.

მოგვიანებით ელჩი სოფელ კასრისწყალში ჩავიდა, სადაც ადგილობრივ მეცხვარეებს ცხვრის ელექტრო საპარსი დანადგარები და გენერატორები საჩუქრად გადასცეს. მოწყობილობა საშუალებას იძლევა, სამჯერ უფრო სწრაფად და ხარისხიანად მოხდეს ცხვრების პარსვა. პროექტის ბიუჯეტი 70 000 ევროს შეადგენს და საჩუქრით კასრისწყალსა და თუშეთში ჩასახლებული მეცხვარეები ისარგებლებენ. ჩეხურმა მხარემ აპარატურა „თუშ მეცხვარეთა ასოციაციას“ გადასცა, რომელიც შუამავლის როლს იკისრებს და პროექტის მიმდინარეობას მონიტორინგს გაუწევს.

სოფელში ამერიკელი სპეციალისტებიც იმყოფებოდნენ, რომლებიც რამდენიმე დღის განმავლობაში მეცხვარეებს ახალი ტექნოლოგიების შესასწავლად ტრენინგებს ჩაუტარებენ. იმსჯელეს დედოფლისწყაროში მატყლის გადამუშავების საკითხის პერსპექტივაზეც.

ჩეხეთის რესპუბლიკის განვითარების სააგენტო 2014-2015 წლებში ამ მიმართულებით სხვადასხვა პროექტებში 350 000 ევროს დახარჯვას გეგმავს.

მოგვიანებით გაიმართა შეჯიბრება, რის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ ელექტრო საპარსი ორჯერ-სამჯერ უფრო სწრაფად და ხარისხიანად შეასრულებს სამუშაოს, ვიდრე ტრადიციული მეთოდით. თუში მეცხვარეები ამბობენ, რომ ეს ტექნოლოგია მათ შრომას ბევრად შეამსუბუქებს.

ჩეხეთის ელჩმა აღნიშნა, რომ ეს მისი პირველი ვიზიტია საქართველოს რეგიონებში და მოხარულია, რომ დედოფლისწყაროს ესტუმრა.





**ტომას პერნიცკი (ჩეხეთის ელჩი):** „ჩემთვის დიდი პატივია, რომ დედოფლისწყაროში ვიმყოფები. სულ ახალი გადმოსული ვარ თქვენს ქვეყანაში და საქართველოს რეგიონებში ჩემთვის პირველი გასვლა დედოფლისწყაროში მოხდა და მინდა ვთქვა, რომ ულამაზესი მხარეა. იმედს გამოვთქვამ, რომ ჩემი ქვეყანა მომავალშიც ხშირად შეძლებს დაეხმაროს ქართველ ხალხს. ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება ამჯერად, რომელიც მეცხვარეობის განვითარებას ითვალისწინებს. სამწუხაროდ, ჩეხეთში არ მოიძებნა შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტი, ამდენად, შოტლანდიელ სპეციალისტებს ვთხოვეთ, რომ ჩამოსულიყვნენ, რათა ამ ტექნოლოგიების შესახებ ქართველ მეცხვარეებს სწავლება ჩაუტარონ.



**ნიკოლოზ ჯანიაშვილი (დედოფლისწყაროს გამგებელი):** „ბატონ ელჩს ვესაუბრეთ, იმის შესახებ, რომ დედოფლისწყარო აგრარული რაიონია. მან მზაობა გამოთქვა, რომ დაგვეხმაროს და სხვადასხვა პროექტები დაგვიფინანსოს, მომავალ თანამშრომლებაზე შევთანხმდით. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მომავალ წელს ახალი პროექტების დაფინანსება დაიწყება, მანამდე ჩვენც მოვემზადებით და ვეცდებით, რომ მაქსიმალური სარგებელი მივიღოთ. უნდა ვეცადოთ, რომ მატყლის გადამუშავებაც ადგილზე შევძლოთ, დღეს ეს სფერო აუთვისებელია“.



სოფელ კასრისწყლის მიმდებარედ არსებულ მეცხვარეთა ფერმაში, სადაც სტუმრები იმყოფებოდნენ, ელჩს ტრადიციული სამზარეულოთი გაუმასპინძლდნენ და საველე პირობებში მომზადებული ხორცეული შესთავაზეს. ელჩი და მისი წარმომადგენლები კმაყოფილებას არ მალავდნენ. ელჩმა ელიას მთაზე, დედოფლისწყაროს ელია თეზბიტელის მამათა მონასტერიც დაათვალიერა. ტომას პერნიცკი აღნიშნავდა, რომ ელიას მთიდან მართლაც ულამაზესი ხედები იშლება.

ილია მარტყოფლიშვილი

# სოფლის მეურნეობის განვითარება თუ ეკოლოგიური კატასტროფა?!

სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ სამთავრობო თუ სამოქალაქო დონეზე უამრავი რამ ითქვა და დაიწერა. ამ ბოლო დროს სერიოზული თანხებიც გამოიყო, მაგრამ იმდენად დიდია მისი ჩამორჩენის დონე და დაგროვილი პრობლემების სიღრმე, რომ შესამჩნევი ძვრები ჯერ კიდევ ბუნდოვნად თუ შეინიშნება.

საქართველო "გეორგიაა", მიწათმოქმედთა ქვეყანაა, პურისა და ღვინის სამშობლოა. ამიტომ სოფლის მეურნეობის განვითარების გარეშე ქვეყნის წინსვლაზე საუბარი მიზანშეუწონელია.

დღევანდელი აგრარული სექტორი სოციალიზმისა და კაპიტალიზმის, განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების მიჯნაზე დგას. ასევე, დილეტანტებისა და მედროვეების საცდელი პოლიგონიცაა.

ერთ—ერთი სერიოზული მიზეზი სოფლის დაკნინებისა, განათლების და, აქედან გამომდინარე, პროფესიონალიზმის დეფიციტია. აგროსექტორის თითქმის ყველა დონეზე. ე. წ. "რეფორმების" შედეგად სოფელს ჩამოაშორეს კვალიფიციური კადრები, დაშალეს სამეცნიერო— კვლევითი ინსტიტუტები, პარალიზებულია ჯიშთა გამოცდა—განახლება, მცენარეთა სელექცია, ნიადაგების, თესლეულის, მცენარეთა და პესტიციდების ხარისხიანად შესწავლის საკითხი. მავანთა აზრით, საბაზრო ეკონომიკა თვითონ დაარეგულირებს წარმოებით ურთიერთობებს სოფლად, თუმცა ახლად ფეხადგმულ ბავშვს რომ ხელის წახმარება სჭირდება, ყველას დაავიწყდა, უფრო სწორად კი, ესეც გამიზნულად მოხდა იმისათვის, რომ ანარქიით ისევ და ისევ „ბელლის ქურდებს“ ესარგებლათ.

ამიტომაცაა, ორი ათეული წელია, ხარისხი კი არ გამოდის წინა პლანზე, არამედ რაოდენობა, რომელიც არის ძალიან უხარისხო. მაგალითად ეკოლოგიურად სუფთა ხილზე, ან ბოსტნეულზე კი არ არის მოთხოვნა, არამედ 20-ჯერ მოშხამულზე, რომელიც გარეგნულად უფრო კარგად გამოიყურება, მაგრამ საკვებად არის უვარგისი. ამას ხელს უწყობს მომხმარებელიც, რომელსაც დღემდე გაუცნობიერებელი შეხედულება აქვს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტზე.

სასოფლო—სამეურნეო სავარგულების მფლობელთა ბანკების მიერ მძიმე ვალდებულებებში ჩაყენება, მიწების არადანიშნულებისამებრ გამოყენება როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო პირების მიერ, მიწაზე მონიტორინგის არარსებობა, დაზღვევის იგნორირება, მარკეტინგული სისტემების სისუსტე, რისკ ფაქტორების მართვაში ფერმერთა დაუხმარებლობა და სხვა უამრავი სამეურნეო—ეკონომიკური და სოციალურ—პოლიტიკური პრობლემები სოფლის მეურნეობის განვითარებას გასაქანს არ აძლევს.

სამაგიეროდ ყოველივე ზემოთ თქმული ნეგატივის შედეგად და იმის გამო, რომ ყოველწლიურად საქართველოში შემოდის ათასობით ტონა დაბალი ხარისხის საეჭვო წარმოშობის შხამ—ქიმიკატი და მათი შეტანის დოზებს და ნორმებს არავინ აკონტროლებს, ბინძურდება გარემო, ნიადაგი, წყალი, ჰაერი, მცენარეები, ნადგურდება სასარგებლო მიკროფლორა, და რაც ყველაზე სავალალოა, ეს ყველაფერი მძიმედ აისახება ადამიანის ჯანმრთელობაზე.

ოფიციალური მონაცემებით, ყოველწლიურად საქართველოში ონკოლოგიურად დაავადებული 7000 ადამიანი ვლინდება და მათ შორის 200 ბავშვია. ამას გარდა, თითქმის ყოვედღიურად გვესმის როგორც მოსახლეობის, ასევე პირუტყვის სხვა და სხვა დოზებით მოწამვლის შესახებ. ცნობილია, რომ ამ უბედურებაში ლომის წილი კვებაზე, წყალზე, ჰაერზე და იმ

(გაგრძელება გვ. 6)

10-14 აპრილს სხვადასხვა მუნიციპალიტეტების 75-მდე წარმომადგენელს ჩაუტარდა ტრენინგის ექვსი სესია სოფლის მეურნეობის, ნარჩენების მართვის, ენერგოეფექტურობის, წყლის რესურსების მართვის, დაცული ტერიტორიების მართვისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების, ბუნებრივი კატასტროფების მართვის, წყალშემკრები აუზებში ბუნებრი რესურსების მართვის, გარემოსდაცვითი პროექტების შემუშავების და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ სხვა აქტუალურ საკითხებზე.

ტრენინგების განხორციელების პერიოდში პროგრამამ ითანამშრომლობა შემდეგი გარემოსდაცვითი ორგანიზაციებსა და სახელმწიფო სტრუქტურებთან: კავკასიის გარემოსდაცვითი ქსელი (CENN), ენერგოეფექტურობის ცენტრი (CEE), ნაკრესი, "მწვანეთა მოძრაობა - დედამიწის მეგობრები", ჶშAID—ის პროგრამა: ბუნებრივი რესურსების ინტეგრირებული მართვა წყალშემკრებ აუზებში, დაცული ტერიტორიების ეროვნული სააგენტო და გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სხვა სტრუქტურებთან, საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტთან (GIPA).

მუნიციპალიტეტებში პროგრამა წარმოადგენს საკვანძო ინიციატივას, რომელიც მიმართულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობის დღის წესრიგში გარემოს დაცვითი და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების ინტეგრირებაზე. პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილების და სოფლის მეურნეობის საკითხების აქტუალიზაციას და აღნიშნულ საკითხებზე მომუშავე სპეციალური ერთეულების შექმნას, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი თვითმმართველობების ფუნქციების განხორციელებას ბუნებრივი რესურსების მართვის, სივრცითი დაგეგმარებისა და მდგრადი განვითარების სფეროში.

პროგრამა ხორციელდება საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მიერ და შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის დიდსულოვანი მხარდაჭერის შედეგად და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ძალისხმევის საფუძველზე

აშშ-ს მთავრობა მხარს უჭერს აღნიშნულ ინიციატივას საქართველოში, როგორც მნიშვნელოვან ძალისხმევას საქართველოს ბუნებრივი რესურსების ეფექტური მენეჯმენტისა და დაცვისათვის.

# დედოფლისწყაროელები სასამართლოს დაბრუნებას ითხოვენ

**დედოფლისწყაროს თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სასამართლოს შენობა ამშვენებს, მაგრამ ის რამდენიმე წელია, უფუნქციოდ და ორი თანამშრომლის იმედადაა დარჩენილი.**



ვისაც სასამართლო არ დასჭირვებია, შესაძლოა არც შეუმჩნევია, მაგრამ მას, ვისაც სამართლიანობის აღდგენისა თუ დაცვის მიზნით ეს სტრუქტურა სჭირდება, არაერთხელ გამოუთქვამს გულისტკივილი, რომ სასამართლო დავისთვის, თითოეულ წვრილმანზეც კი სიღნაღში უწევს სიარული, რაც სხვა სოციალურ პრობლემებთან ერთად ერთი-ორად მძიმედ აწვება მოსახლეობის ბიუჯეტს. დღეს უკვე აღარავისთვისაა უცხო, რომ რაიონის სასამართლოს შენობა მხოლოდ ორი თანამშრომლის, სხდომის მდივნისა და დაცვის თანამშრომლის ანაბარაა დარჩენილი, რაც ერთ დროს თანამშრომლებით გადაჭედილი სასამართლო შენობისთვის ცოტა არ იყოს, უცნაურია. პარადოქსი გახლავთ, მაგრამ ფაქტია, მაშინ ჩამტვრეულ იატაკიან შენობაში მოსამართლის მიერ გამოტანილ ვერდიქტებს მთელი დარბაზი ერთი ამოგმინვით და გაყინული სუნთქვით ელოდა, ახლა პირიქითაა,- კომფორტული შენობა სხდომათა დარბაზებით თავადაა სიცარიელისგან გაყინული. მოსახლეობაში გაჩნდა კითხვა -რატომ აღარ გვყავს ადგილზე მოსამართლე ან პროკურორი?! დღეს დედოფლისწყაროში აღარავინ დაობს იმაზე, რომ ეს პრობლემა მართლაც მტკივნეულია, დედოფლისწყაროს მოსახლეობის თითქმის არცერთმა მოქალაქემ არ უარყო, რომ მათ სასამართლო სხდომების გამართვა საკუთარ რაიონში სურთ და არა სიღნაღში, მართალია, ადგილზე სასამართლოს შენობის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ სიღნაღში მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეები განიხილება, ხოლო ადმინისტრაციული დავის საკითხების განხილვა ადგილზე მოვლენილი მოსამართლის მიერ ხორციელდება, მაგრამ მოდავე მხარეებს მაინც უწევთ ხოლმე თუნდაც ადმინისტრაციულ დავაზე სიღნაღში სიარული.

-კითხვაზე, სურთ თუ არა, რომ დედოფლისწყაროს სასამართლო ძველებურად სრულყოფილი სახით აღდგეს და პროკურორიც ადგილზე მოემსახუროთ, დედოფლისწყაროში 70 გამოკითხული მოქალაქიდან მხოლოდ ოთხმა გვიპასუხა, რომ მათთვის არ აქვს მნიშვნელობა, თუ სად გაირჩევა სამართალი, უმრავლესობამ კი აღნიშნა, რომ დედოფლისწყაროში რაიონული სასამართლოს სრული სახით აღდგენა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მთლიანად ჩვენი მუნიციპალიტეტის არსებობა.

**მზია წყარუაშვილი** - კი, ჩემი აზრით აუცილებლად უნდა აღდგეს, მე მგონი ყველა დედოფლისწყაროელი დაეთანხმება ამას, რომ უნდა გვყავდეს ადგილზე ჩვენი მოსამართლე და პროკურორი, რამდენადაც ვიცი ადამიანები, ვისაც ასეთ დავებზე ნებსით თუ უნებლიეთ მიუდგათ საქმე, კვირაში რამდენჯერმე უწევთ სიაღნაღში სიარული, რაც არა მგონია ვინმესთვის სასიამოვნო იყოს.

**ლალი ბალაშვილი** - რა თქმა უნდა ყველა რაიონს თავის პროკურატურა და სასამართლო უნდა ჰქონდეს. მით უმეტეს არავისზე ნაკლები რაიონი ჩვენ არ გვაქვს და არც არავისზე ნაკლები ხალხი ცხოვრობს დედოფლისწყაროში.

მარინა ხარაშვილი- დიახ, ვეთანხმებით უნდა აღდგეს რაიონული სასამართლო ადგილზე.

ნინო კობაიძე- ვფიქრობ უნდა აღდგეს, მით უმეტეს იმ ფონზე, რომ საკმაოდ დიდი რაიონი ვართ, ჩვენი სოფლები ძალიან დიდ ფართობზეა გადაჭიმული და ხალხს რაიონში ამოსვლაც უჭირს, სიღნაღში სასამართლოზე სიარული ხომ მათთვის სასჯელზე უარესი სასჯელი გამოდის.

**ნინო ბენაშვილი** -პირველ რიგში ისაა რთული გასაგები, რომ თუ სიღნაღში არ წახვედი, განცხადებასაც ვერ შეიტან დედოფლისწყაროს ახლა უკვე მაგისტრად წოდებულ სასამართლოში, მეორე ის, რომ ადვოკატსაც ვერ ნახავ უკვე დედოფლისწყაროში და თქვენ წარმოიდგინეთ, ხშირად საზათლოდან ამოსულ მოქალაქეს, პოლიციაში გამომძიებელიც რომ არ ხვდება, (რადგან ის უმეტესად სიღნაღის პროკურატურაში არის წასული), არანაკლებ უწევს იქ სიარული. სიღნაღამდე პირდაპირი ტრანსპორტიც არაა, გზაში ორი ან სამი ტრანსპორტი უნდა გამოიცვალო, რომ ჩახვიდე და თუ იქ დიდხანს მოგიწია დარჩენა, თუ საკუთარი ტრანსპორტით არ ხარ, ტაქსში გიწევს ფულის გადახდა, რაც არც თუ ისე იაფი ჯდება. ამ ორ ყველაზე ახლო მეზობელ რაიონს რომ პირდაპირი დამაკავშირებელი მარშუტი არ გააჩნია, ეს ცალკე პრობლემაა კიდევ. იცით ეს ყველაფერი რამდენ წინააღმდეგობაში გვაგდებს უბრალო ხალხს?!

***ის, რომ დედოფლისწყაროს მაგისტრ სასამართლოში მხოლოდ სამოქალაქო დავის საქმეებიღა განიხილება, როგორც ადგილზე გავარკვიეთ, 2012 წლის მარტში კანონში შეტანილი ცვლილების გამო მოხდა, რომელიც 2012 წლის ოქტომბერ-ნოემბერში აღსრულდა. აღდგება თუ არა დედოფლისწყაროს სასამართლო უკვე სრულყოფილი სახით ჩვენს მიერ დასმულ ამ კითხვაზე იუსტიციის სამინისტროსგან პასუხი სამწუხაროდ დღემდე ვერ მივიღეთ. თუმცა პასუხი ისევ და ისევ კანონში შეტანილ ცვლილებებში ვეძიეთ, კანონის თანახმად კი თუ რაიონში სტატისტიკურად ნაკლები სისხლის სამართლის დანაშაული ხდება, ამ შემთხვევაში ის მეზობელ სასამართლოს ექვემდებარება, როგორც ჩანს ჩვენთან სისხლის სამართლის დანაშაულმა იკლო, თუმცა ისიც უდავოა, რომ ხშირად სამოქალაქო დავაც სიღნაღის სასამართლოში მიმდინარეობს.***

ერთად-ერთი ადამიანი, ვინც განსხვავებული აზრი გამოხატა და ეჭვქვეშ დააყენა დედოფლისწყაროში სასამართლოს ძველი სტრუქტურით აღდგენა, ეს ყოფილი გამგებელი ვაჟა ქადაგიძე აღმოჩნდა, მან აღნიშნა: „ **მე არ მაქვს სტატისტიკა სისხლის სამართლის დანაშაულის შესახებ, ასე რომ, მიჭირს იმის თქმა, რამდენად აუცილებელია ეს რაიონისათვის. დედოფლისწყაროში ხომ არის მაგისტრი მოსამართლე და სიღნაღის პროკურატურიდან მომაგრებული პროკურორი?“**

დედოფლისწყაროელებს კი სწორედ ეს არ სურთ, სწორედ მომაგრებული პროკურორის და მოსამართლის გამოა, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის სასამართლო ერთ თანამშრომლიან უწყებად იქცა.

თუ როგორ გამოიყურება ჩვენი რეგიონის სისხლის სამართლის დანაშაულის სტატისტიკური მონაცემები, ამასთან დაკავშირებით ჩვენ შსს-ს პრესსამსახურის დახმარებით კახეთის იურიდიული დახმარების ცენტრის საიტს ვეწვიეთ, სადაც დანაშაულის სტატისტიკა ბოლო მონაცემების მიხედვით არცთუ ისე მაღალია სხვა წლებთან შედარებით. მოკლედ ასე: 2010 წლის განმავლობაში კახეთის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატები ჩართულნი იყვნენ 476 სისხლის სამართლის საქმეში. განახორციელეს 55 არასრულწლოვანის დაცვა. ბიუროს კონსულტანტებმა სამართლებრივი კონსულტაციები 623 მოქალაქეს გაუწიეს და 199 სამართლებრივი დოკუმენტი შეადგინეს.

სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებული საჯარო ინფორმაციის მიხედვით კი, 2012 წლის პირველ ნახევარში საქართველოს მასშტაბით სისხლის სამართლის სულ 3432 საქმე იქნა წარმოებაში,აქედან1789,52% თბილისზე მოდის, 199,6% მთლიანად კახეთის რეგიონზე,

224,7% - შიდა ქართლზე, ხოლო 97,3% - სამცხე ჯავახეთზე.

რაც შეეხება წლების მიხედვით ქვეყნის სისხლის სამართლის საქმეების სტატისტიკას, ასე გამოიყურება

2010 წელი-4678,

2011 წელი-4348,

ხოლო 2012 წლის პირველი ნახევრისთვის სისხლის სამართლის 3432 საქმე იქნა წარმოებული.

როგორც ჩანს, ყველაფერი სტატისტიკაზე აუგიათ, დედოფლისწყაროში კი, მათი გადაწყვეტილებით იმდენი სისხლის სამართლის დანაშაული აღარ ხდებაო, რომ სასამართლომ სისხლის სამართლის საქმეები აქ განიხილოსო და კანონშიც ისეთი ცვლილება შეუტანია მაშინდელ მთავრობას, რომელიც ძალაში 2015 წლამდე მყარად დარჩება.

ახლა ვნახოთ, რას ითვალისწინებს 2012 წლის სახეცვლილი კანონი - „ამონარიდი 2012 წლის მარტში საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებიდან „თავი III უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესი მუხლი 13

1. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში მოსამართლის არყოფნისას ან განსახილველ საქმეთა რაოდენობის მკვეთრი ზრდის შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად აღნიშნულ სასამართლოში მიავლინოს სააპელაციო სასამართლოს ან სხვა რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე, რომელიც საჭიროების შემთხვევაში იმავდროულად სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს იმ სასამართლოში, სადაც იგი დანიშნულია კანონით დადგენილი წესით.

2. სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის არყოფნისას ან განსახილველ საქმეთა რაოდენობის მკვეთრი ზრდის შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად აღნიშნულ სასამართლოში მიავლინოს სხვა სააპელაციო სასამართლოს ან რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე, რომელიც საჭიროების შემთხვევაში იმავდროულად სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს იმ სასამართლოში, სადაც იგი დანიშნულია კანონით დადგენილი წესით.

1. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების საკითხის გადაწყვეტისას, მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინება შეიძლება განხორციელდეს მისი თანხმობით, 1 წლამდე ვადით. აუცილებლობის შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია მოსამართლის თანხმობის გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება მისი სხვა სასამართლოში მივლინების თაობაზე, თუ აღნიშნულ საკითხს მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების ვადის გაგრძელება შესაძლებელია არა უმეტეს 1 წლით, რისთვისაც აუცილებელია მოსამართლის თანხმობა.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრება განხორციელდეს 2015 წლის 1 იანვრამდე.

საქართველოს 2012 წლის 27 მარტის კანონი №5921 — ვებგვერდი, 19.04.2012წ.

როგორც ვხედავთ, ჩვენო მოქალაქეებო ის, რომ დღეს დედოფლისწყაროელი მოქალაქეები სიღნაღში დადიან პროკურატურით სარგებლობისა, თუ სასამართლო დავის გაშემთხვევებში არცთუ მთლად ჩვენს ნებასურვილზე ყოფილა დამოკიდებული. არსებობს კანონი, რომელიც ძალაშია და რომელიც 2015 წლამდე შეცვლას არ ექვემდებარება.

ისღა დაგვრჩენია, მოსახლეობამ 2015 წლამდე მოიცადოს, რათა შემდგომში მაინც ვიბრძოლოთ ჩვენი სასამართლოს აღდგენისთვის! მანამდე კი მათ, ვისაც ადვოკატი, პროკურორი და მოსამართლე დასჭირდება, სიღნაღის გრძელი და ხვეული გზები კვლავ უთვალავჯერ უნდა გადასეროს.

ლალი მეხრიშვილი

# ადმინისტრაციული წესით ორი პირი დააკავეს

***საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კახეთის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ქალაქ დედოფლისწყაროში, 21 აპრილს დედოფლისწყაროს საკრებულოს დეპუტატი ნაციონალური მოძრაობიდან, ინფრასტრუქტურისა და სივრცითი დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარე, თამაზ კირვალიძე და მისი თანმხლები პირი, მამუკა ბალაშვილი ადმინისტრაციული წესით დააკავეს.***

მამუკა ბალაშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის, ლევან ბალაშვილის ძმაა.

როგორც შსს-ს პრესსამსახურის წარმომადგენელმა შორენა ჯახუამ „შირაქს“ განუცხადა, დაკავებულებს ექსპერტიზა ჩაუტარდათ, რის შედეგადაც ერთ-ერთ დაკავებულს, მამუკა ბალაშვილს ნარკოტიკული ნივთიერება მეტამფეტამინის მცირე დოზით მოხმარება დაუდასტურდა. ხოლო, თამაზ კირვალიძეს სისხლში ნარკოტიკული თრობა არ აღენიშნებოდა.

შსს-ს ინფორმაციით, საქმე ადმინისტრაციული კოდექსის 45-ე მუხლით აღიძრა. დაკავებულები ხელწერილით გაათავისუფლეს, სასამართლო პროცესი 6 მაისს არის ჩანიშნული.

„ნაციონალური მოძრაობის“ დედოფლისწყაროს ორგანიზაციის თავმჯდომარე ლევან ბალაშვილი ძმის დაკავებას მის პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირებს. მისი თქმით, 2 თვის წინ მის ძმას დიაბეტი დაუდგინდა და ექიმის დანიშნულებით მკურნალობს. ბალაშვილი ამბობს, რომ მისი ძმა არასოდეს ყოფილა ნასამართლევი ან ნარკოტიკების მომხმარებელი.

ლევან ბალაშვილი, რომელიც ხელისუფლების ცვლილებამდე ჯერ დედოფლისწყაროს გამგებლის, შემდეგ კი საკრებულოს თავმჯდომარის პოზიციას იკავებდა, ამბობს, რომ მუქარები მას შემდეგ დაიწყო, რაც თებერვალში პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარედ დაინიშნა. მისი თქმით, რამდენიმე დღეში ფინანსური პოლიცია თვითმმართველობის ორგანოში მისი მუშაობით დაინტერესდა და იმ პერიოდის დოკუმენტაციის გამოძიება დაიწყო.

მამუკა ბალაშვილი გამოძიების პოზიციას არ იზიარებს. დაკავებულის ადვოკატმა სიღნაღის სასამართლოს ხელახალი ექსპერტიზის ჩატარების შუამდგომლობით მიმართა, რაც მოსამართლემ დააკმაყოფილა.

მესამე დღეს ლევან ბალაშვილმა მედიას მისი ძმის ექსპერტიზის დასკვნა მიაწოდა. ცნობაში, რომელიც ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრმა გასცა, ნათქვამია, რომ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების მიმართ დამოკიდებულება არ გამოვლენილა და არც ექიმის დანიშნულების გარეშე მათი მოხმარების ფაქტი დაფიქსირდა.

ბალაშვილები ექსპერტიზის დასკვნას 6 მაისს სიღნაღის სასამართლოში ჩანიშნულ სხდომაზე წარადგენენ.

„ჩვენ ავიღეთ ალტერნატიული ანალიზი, სადაც ნათქვამია, რომ მის ორგანიზმში არანირი ნარკოტიკული ნივთიერება არ არის, არანაირი დამოკიდებულება არ არის ნარკოტიკებისადმი. სასამართლო უკვე ჩატარდა, მოსამართლემ გაითვალისწინა, რომ ჩვენ არ გვქონდა დრო, დაგვემტკიცებინა ჩვენი სიმართლე და 2 კვირით გადაწია სასამართლო პროცესი, რომ გვქონოდა დრო. თუ რამეა მის ორგანიზმში, არის მისი დაავადებიდან გამოწვეული, რადგან ის არის დიაბეტით დაავადებული, მკურნალობს და რაღაც პრეპარატების შემცველობა შეიძლება აღმოჩენილიყო მის ორგანიზმში, მაგრამ არა ისეთი, რომელიც კანონმდებლობით იკრძალება. ჩვენ ასევე ველოდებით სამხარაულის სახელობის ექსერტიზის პასუხს, რომელსაც დრო სჭირდება. დეტალურად უნდა გამოიკვლიოს ის ბიო მასალა, რის საფუძველზეც დაკავებული იყო ჩემი ძმა, რასაც ჩვენ წარვადგენთ სასამართლოში. ანალოგიურ შემთხვევაში დაკავებული ასი კაციდან ასივეს უშვებენ ხელწერილით, არავის არ ათავსებენ წინასწარი დაკავების იზოლატორში და ასეთი ფაქტი არ არსებობს, ეს არის ჩემი პოლიტიკური აქტიურობის შედეგი, შემომითვალეს კიდეც, რომ ეს ჩემი გამწარების მიზნით გააკეთეს,“ - განაცხადა ლევან ბალაშვილმა.

მათი მტკიცებით, რამდენიმე დღეში სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნასაც წარადგენენ.

ილია მარტყოფლიშვილი

# პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლე

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილია II

„წყალობაი და ჭეშმარიტებაი შეემთხვივნეს,
სიმართლემან და მშვიდობამან ამბორს-უყვეს" (ფს. 84,10).

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მამანო და დედანო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, სასულიერო და საერო დასნო, მკვიდრნო საქართველოისა და ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო,

ქრისტე აღდგა!

აღდგომის მადლითა და სიხარულით აღვსილი ვადიდებთ უფალს და თქვენ ყოველთა გულითადად გილოცავთ ამ ბრწყინვალე დღესასწაულს.

აღსრულდა!

აღსრულდა ის, რაც განჩინებული იყო უწინარეს საუკუნეთა!

,,ვნებითა მით შენითა, ქრისტე, ვნებათაგან განვთავისუფლდით და აღდგომითა შენითა ხრწნილებისაგან ვიხსენით, უფალო, დიდება შენდა!"

49 დღე ემზადებოდნენ მორწმუნენი ამ ზეიმის შესახვედრად.

შვიდი კვირის განმავლობაში ყველანი ვცდილობდით სულიერი კიბით ზესვლას, რათა ძალისამებრ ჩვენისა მომზადებულნი ვზიარებოდით პასექის სიხარულს, რომლის სადიდებლად ენა ამაოდ დაშვრება, რადგან ადამიანური მეტყველება უძლურია, გადმოსცეს ღვთის სიყვარულის ის საოცარი გამოვლინება, რისი მომსწრე და მხილველიც კაცთა მოდგმა 1981 წლის წინ გახდა.

აღდგომა, ეს არის ნეტარ მარადისობასთან ზიარების, წარუვალი სიკეთისა და სიხარულის მაუწყებელი დღე.

„სადა არს, სიკვდილო, საწერტელი შენი?
სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევაი შენი?" (I კორ, 15,55).

*ქრისტე აღდგა! გიხაროდეთ!*

გარდა იმისა, რომ მაცხოვარმა ჩვენმა ბოროტება შემუსრა, თითოეულ ჩვენგანს უჩვენა გზა ხსნისა, უჩვენა მაგალითი ცხოვრებისა, ისეთი სიცოცხლისა, რომელიც ჭეშმარიტ ბედნიერებასთანაა დაკავშირებული.

ბედნიერება, ეს არის ის ცნება, ის მდგომარეობა, რომელსაც ესწრაფვის ყველა ადამიანი, არა აქვს მნიშვნელობა, რომელი ქვეყნისა და ერის წარმომადგენელია იგი. ოღონდ, რა თქმა უნდა, ბედნიერებას ესა თუ ის პიროვნება სხვადასხვანაირად აღიქვამს. მთავარი განსხვავება კი ის არის, რომ ზოგნი ამას ღმერთთან სიახლოვეში ხედავენ, ზოგნი კი, მის გარეშე მოიაზრებენ.

ამ გაორებას სათავე სამოთხეში დაედო.

ღმერთთან ერთობის პერიოდში ადამი და ევა აქ უზრუნველად ცხოვრობდნენ, მაგრამ, როდესაც მათ, საკუთარი თავის კიდევ უფრო მეტად განდიდების მიზნით, უფლის დარიგება უგულებელყვეს, ქვენა მიდრეკილებებს გაუხსნეს კარი და თვითონაც და მათი შთამომავლობაც გაორდა:

კაენის სულის მქონეთ ღმერთს ზურგი აქციეს და დაემონნენ ეგოისტურ ზრახვებს, ამბიციას, ხორციელ და გრძნობად მოთხოვნილებებს: ისინი ცდილობენ აქ, ამ წუთისოფელში, მიიღონ შესაძლო პატივი, სიმდიდრე, სიამოვნება... იმქვეყნიური ცხოვრებისა კი ან არ სწამთ, ან ამ თემაზე საკუთარი წარმოდგენა აქვთ და ყველაფერს სათავისოდ განსჯიან.

აბელ-სეითის გზით მავალნი კი ბედნიერებას მხოლოდ უფლის წიაღს უკავშირებენ.

მათთვის მიწიერი ცხოვრება, ეს არის სამოთხიდან განდევნილთა ადგილი, ის დრო და სივრცე, სადაც ადამიანმა საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოს თავისი ხვედრი და შეამზადოს თავისი მარადიული მომავალი.

ასეთი პიროვნებებისათვის ადამიანური ნამდვილი ბედნიერების საიდუმლო შემოქმედის ამ სიტყვებშია გაცხადებული: ,,შეიყვარე უფალი, ღმერთი შენი, ყოვლითა გულითა შენითა, ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა. ეს არის პირველი მცნება. მეორე არის: შეიყვარე მოყვასი, ვითარცა თავი შენი" (მრ. 12, 30-31).

პირველი მცნება გულისხმობს ღვთისადმი ისეთ სიყვარულს, რომელიც ყველაზე ძლიერი უნდა იყოს ჩვენში.

- როგორ მივხვდეთ, ვართ თუ არა ამ განწყობით?

- შემოქმედზე წინ არ უნდა დავაყენოთ არავისი და არაფრის სიყვარული და ამასთან, ყოველივე ჩვენს თავზე მოწევნული, - სიხარული თუ განსაცდელი, - უნდა მივიღოთ მადლიერებით.

- განა თუნდაც მშობლების ან შვილებისადმი გამორჩეული სიყვარული სწორი არ არის?

- ქრისტიანობა სიყვარულის სარწმუნოებაა, გულმხურვალე, თავგანწირული სიყვარულის რელიგია და, ბუნებრივია, ახლობლებისადმი დიდი სითბოსა და მზრუნველობის გამოჩენა არა თუ კარგია, ჩვენი ვალდებულებაა. ამის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია, მაგრამ ჩვენც, ჩვენს მშობლებსა და მათ წინაპართ, ისევე როგორც ჩვენს შვილებს და მათ შთამომავლებს, სიცოცხლეც და სხვა ყოველივე სიკეთეც უფლისაგან მოგვეცა. იგი არის ყველაზე დიდი მშობელი, ყველაზე დიდი ახლობელი ყველასათვის, ყველაზე მართალი და გულწრფელი გულშემატკივარი, იმედი და ნუგეშინისმცემელი ჩვენი.

ამიტომაც, როცა, თუნდაც, მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს საჭიროა ჩვენთვის.

- მაგალითად, შვილის გარდაცვალებაც?

- რა თქმა უნდა, ეს უდიდესი ტკივილია და ბოლომდე ღვთის განგებულებას ვერავინ ჩაწვდება. თუმცა, ასეთ შემთხვევებში ვხედავ იმ აზრს, რომ უფალს ადამიანი თუნდაც ახალგაზრდა, გაჰყავს ამ ქვეყნიდან მისი ცხონებისათვის საუკეთესო პერიოდში. და, ბუნებრივია, იგი ცათა შინაც შესაფერის ადგილს დაიმკვიდრებს; ხოლო ის ტკივილი, რაც მშობლებს, ნათესავებსა და მეგობრებს მიეყენებათ, კიდევ ერთხელ დააფიქრებთ მათ სიცოცხლის საზრისზე, მთავარ ღირებულებებზე, ცხოვრების წესზე, ზესთასოფელზე. . .. ყოველივე ეს კი იწვევს ფერისცვალებასა და უკეთესობისაკენ მათ შეცვლას. ანუ, ფაქტობრივად, ეს ახალგაზრდები მიზეზნი ხდებიან თავისი ახლობლების სულიერი გადარჩენისაც, რაც უდიდესი მადლია იმ ქვეყნად წასულთათვისაც და აქ მყოფთათვისაც;

ხოლო თუ ამ ხალხს ასეთმა განსაცდელმაც ვერ უშველა, ძალიან დიდი ალბათობაა იმისა, რომ მათს გულებში უფლის ადგილი არც არასოდეს იქნება.

– და რაკი ადამიანი გამუდმებით სცოდავს, მითუმეტეს ჩვენს დროში, განსაცდელებით ამიტომ ვართ სავსენი?

– ეს, მართლაც ასეა. დემონი ყოველნაირად ცდილობს თითოეული ადამიანის სული მიიზიდოს და მიიტაცოს. სთესავს მასში ეჭვსა და ურწმუნოებას, ყველაფრისადმი ზერელე დამოკიდებულებას, ბინდავს გონებას ათასგვარი სიამოვნებით და თვალსაწიერს მხოლოდ წუთისოფლით უფარგლავს, რათა იგი გონს არ მოეგოს და ხელიდან არ დაუსხლტეს.

ასე იყო ყოველთვის, ასეა დღესაც, თუმცა თანამედროვე ჩვენი ყოფა უფრო დამძიმდა და დასნეულდა, რადგან მასიურად ხდება წახალისება ცოდვის პროპაგანდისა. ბოროტის შემოტევის ასეთი ფართო მასშტაბები ადრე არ იყო. ადრე დევნიდნენ და აწამებდნენ მორწმუნეებს, ანგრევდნენ ტაძრებს, შეურაცხყოფდნენ სიწმინდეებს, მაგრამ ზნეობაზე სიტყვით მაინც უარს არ ამბობდნენ.

**თანამედროვე ფსევდო-ლიბერალიზმს კი სურს, მოსპოს ცნება ცოდვა. მათი აზრით, ცოდვის განცდა თურმე ზედმეტად „ბოჭავს" ადამიანს და „თავისუფლებას" აკარგვინებს. ამიტომაც უნდათ, გააქრონ მორალი და მასთან ერთად სინდისის ქენჯნაც. იერიში მიტანილი აქვთ ზნეობაზე, რაც დღეს უკვე გულისხმობს ბრძოლას არა მარტო რელიგიურ მცნებებთან, არამედ საყოველთაო, ზოგადადამიანურ ღირებულებებთანაც, ფაქტობრივად, ისინი ცხოველებზე უფრო დაბალი ცხოვრების წესს სთავაზობენ საზოგადოებას და სრული სულიერი გადაგვარებისაკენ უბიძგებენ.** აჩვენებენ სადიზმითა და სექსოპათიით გაჯერებულ ფილმებს და თან ,,გართობის" მიზნით სხვადასხვა ,,შოუსა" და გადაცემებში ირონიით საუბრობენ ადამიანურ ღირსებებზე, კულტურაზე, ტრადიციებზე, რათა, მათი თქმით, ხალხი ,,განკურნონ ნევროზისა და ფობიებისაგან."

ეს მეთოდიკა ისეთი ფორმით ინერგება, რომ ზოგჯერ თვით ამ „სპექტაკლების" მონაწილეთაც



არ ესით, სინამდვილეში რას ემსახურებიან და რატომ აქვთ ასეთი დაკვეთილება. ვითომ ორიენტალური და სიხის შემოტანის სურვილით აკეთებინებენ ამას, სინამდვილეში კი საყოველთაო ურწმუნოებასა და ეშმაკეულ ცნობიერებას ამკვიდრებინებენ, რითაც, რა თქმა უნდა, ღმერთს განარისხებენ:

„ვაი იმ კაცს, ვისგანაც მოდის ცდუნება. მისთვის უმჯობესი იქნებოდა წისქვილის ქვა დაეკიდათ კისერზე და ზღვის უფსკრულში ჩაეძირათ (მთ.18,6, 18,7) – ბრძანებს უფალი.

**ბუნებრივია, ადამიანის ისედაც სუსტ ბუნებას უჭირს გაუძლოს ბოროტის ამდენ მახეს. ამიტომაც, სახეზე გვაქვს საყოველთაო დაცემა და ამ ფონზე არც მართლმადიდებლები არიან განსხვავებულ მდგომარეობაში. მათ შორისაც გახშირდა სიცრუე და ღალატი, ეგოისტური მიდგომები, უარის თქმა ოჯახურ ვალდებულებებზე, გულგრილობა. ყოველივე ეს კი სულიერ სამყაროში იწვევს სერიოზულ რღვევებს, რასაც ზოგიერთი გრძნობს, მაგრამ არ რეაგირებს, ზოგიერთი კი ვერც აცნობიერებს და აგრძელებს ცოდვასთან კავშირს.**

მაგრამ თუ უფალს ეს ადამიანი უყვარს და არა ჰყავს მიტოვებული, მასზე ღვთისაგან დაეშვება განსაცდელი (ან განსაცდელები), რათა იგი გამოფხიზლდეს და დაფიქრდეს თავის მდგომარეობაზე.

ეს პროცესი გაგრძელდება მანამ, ვიდრე არ მოხდება გაცნობიერება დანაშაულისა და მისი გამოსყიდვა.

მე პირადად არაერთი ადამიანი მინახავს გულწრფელი აღსარებითა და ზიარებით მძიმე სენისაგან განკურნებულნი, ასევე რთული და, ერთი შეხედვით, გამოუვალი მდგომარეობიდან თავდახსნილნი; ეს ხომ დასჯა არ არის! იგი უფსკრულიდან ჩვენი ამოყვანაა, ჭუჭყისაგან ჩვენი განთავისუფლებაა.

ამიტომაც განსაცდელი მადლიერებით უნდა მივიღოთ.

ამასთან, ჩვენს თავში უნდა გავაძლიეროთ მებრძოლი სული, არ შევეგუოთ დაცემას, რამდენჯერაც არ უნდა შეგვემთხვეს იგი, და ყოველთვის უნდა მოვძებნოთ ძალა ვნებათა დასათრგუნად, აღდგომად და გზის გასაგრძელებლად.

,,სასუფეველი ცათაი იიძულების, და რომელნი აიძულებდენ, მათ მიიტაცონ იგი," (მთ. 11,12.). ანუ სასუფეველი ცათა საკუთარ თავთან ჭიდილით, – ცოდვათა დაძლევით მოიპოვება და ვინც ამ ომში გაიმარჯვებს, ის დაიმკვიდრებს მას.

ვიმეორებ, ეს დაპირისპირება დღეს განსაკუთრებული სიმწვავით მიმდინარეობს. ბოროტი თავგამოდებით იბრძვის და ჩვენც თავგამოდებით გვმართებს დავიცვათ ჩვენი მეობა, ჩვენი სული, ჩვენი ღირებულებები.

მაცხოვარი ჭეშმარიტ ქრისტიანებს თავისიანებსა და რჩეულებს უწოდებს და ასე მოიხსენებს: ,,ვიცნი ჩემნი იგი და მიციან ჩემთა მათ" (ინ. 10,14).

რ ო გ ო რ ი დიდი წყალობაა, უფალს მიაჩნდე თავისიანად!

მე მინდა, მივმართო ჩვენს ხალხს, რომელმაც ბოლო პერიოდში მრავალი განსაცდელი გადაიტანა, – არ შედრკეთ! ეს ტკივილი, ეს მწუხარება სწორედაც ნიშანია იმისა, რომ უფალი ჩვენთანაა, რომ ღმერთს ვ უ ყ ვ ა რ ვ ა რ თ და ამიტომაც გვწვრთვნის შეცოდებათა გამო.

- მართალია, სხვათა მსგავსად ჩვენც რთულ დროში გვიწევს ცხოვრება და ეს გავლენას ახდენს ჩვენს სულიერ მდგომარეობაზე, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ მრავალი ტაძარი აიგო, ეკლესიები სავსეა ხალხით, მოსახლეობის დიდი უმრავლესობა თავს მართლმადიდებლად მიიჩნევს. სხვაგან ასეთი პროცესები არ არის, თუმცა ისინი ჩვენზე უკეთ არიან. ჩვენ რა დავაშავეთ, რომ გამოცდის და განსაცდელების პერიოდი ასეთი ხანგრძლივი და მძიმე აღმოჩნდა?

- ჯერ ერთი, ვისაც ბევრი მიეცა, მეტიც მოეთხოვება. ჩვენს ხალხთან მიმართებაში სწორედ ეს ვითარებაა. ამასთან, მართალია, საზოგადოებაში დიდი დადებითი ძვრები მოხდა, მაგრამ მთავარი ნაკლოვანებები ჯერ კიდევ არ არის გამოსწორებული.

თითოეულმა ჩვენგანმა (ამჯერად ვგულისხმობ მხოლოდ მორწმუნეთ, მათ შორის სასულიერო პირებსაც) ჩავიხედოთ სულში და პირუთვნელად შევაფასოთ ჩვენი განწყობები და დამოკიდებულებები.

ვფიქრობ, ცოტანი არიან ისეთნი, რომელთა გულის ტახტზე უფალია დაბრძანებული. უმეტესი ნაწილი კი ძირითადად, სიტყვით და ნაწილობრივ კი, საქმითაც ღვთის მადიდებელია, მაგრამ ბოლომდე მაინც არ არის მინდობილი ღმერთს.

ეს ჰგავს იმ პიროვნების მდგომარეობას, რომელმაც ცურვა არ იცის, ზღვის სანაპიროზე მხოლოდ ფეხს ისველებს და ზღვაში ცურვის სიყვარულზე კი საუბრობს.

რა თქმა უნდა, ათეისტური აზროვნებისაგან ხალხი მალევე ვერ განთავისუფლდება და ზემოთქმული ამის შედეგიც არის, მაგრამ უკვე დადგა დრო, მთავარი სულიერი ორიენტირების გასწორებისა; ხოლო თუ ეს ასე არ მოხდება, მთელი ჩვენი ძალისხმევა, ჩვენი ვედრება ამაო იქნება, რადგან არასწორად აღვლენილი ლოცვა ჰაერში განიბნევა და შედეგს ვერ გამოიღებს.

ჩვენი ცხოვრება, ჩვენი საქმიანობა, აზრი და ფიქრიც კი, შესაძლებლობისამებრ, ღმერთით უნდა იყოს განმსჭვალული და სწორებას მუდამ მასზე უნდა ვახდენდეთ. ასეთი დამოკიდებულება სასიცოცხლოდ აუცილებელი არის თითოეული ჩვენგანისთვის.

მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ, თავი დავიცვათ ცოდვისაგან და მივუახლოვდებით იმ მდგომარეობას, რაც დაცემამდე იყო შემოქმედსა და ჩვენს პირველმშობლებს შორის, - შევცურავთ უფლის სიყვარულის ოკეანეში და აღვივსებით მისი მადლითა და წყალობით.

ვინ არის მოყვასი და რატომ არის მისი სიყვარული ჩვენი გადარჩენისათვის, ასევე, აუცილებელი პირობა?

- ***მოყვასია ყველა, ვინც კი ცხოვრების გზაზე გხვდება. დაწყებული შენი ოჯახის წევრებიდან, ახლობლებიდან და მეგობრებიდან და დამთავრებული უცნობი, მაგრამ შენთან შეხებაში მყოფი პიროვნებებით; რა თქმა უნდა, ამათ რიცხვში შედიან ის ადამიანებიც, რომელთაც ჩვენ მტრებს ვუწოდებთ.***

ახლობლებისა და ჩვენი მოყვარული ადამიანების სიყვარული რომ აუცილებელია, გასაგებია. ეს გრძნობა იმდენად ბუნებრივად მკვიდრობს ჩვენში, რომ აქ მოვალეობაზეც კი ლაპარაკი არ არის, ეს ჩვენი მოთხოვნილებაა.

ჩვენი ხალხის ხასიათის წარმოსაჩენად ორ მომენტს გავიხსენებ: თუკი ქვეყანამ გაუძლო ბოლო ოცი წლის დუხჭირ ცხოვრებას, ეს სწორედ მეგობრების, მეზობლების, ნათესავების ერთსულოვნებით მოხდა. უბრალო ადამიანები, თვითონაც არას- მქონენი, მასზე გაჭირვებულთ უშურველად უნაწილებდნენ თავის ლუკმას, რაც ბუნებრივად, დაუყვედრებლად ხდებოდა.

ეს ხომ გმირობის ტოლფასია!

თქვენ იცით, მე ყოველთვის მოვუწოდებდი და მოვუწოდებ უცხოეთში წასულ ქართველებს, დაბრუნდნენ სამშობლოში და აქ ეძიონ საშუალებები დასაქმებისა, თუნდაც სოფლის მეურნეობის მიმართულებით, მაგრამ არ შეიძლება არ დავაფასო ამ ადამიანების დიდი ნაწილის, განსაკუთრებით ქალბატონების, თავდადება, როგორც თავისი შვილების, ისე მეუღლეებისა და ახლობლების მიმართ.

მათ მიატოვეს ყველაფერი და უცხოეთში უმძიმესი შრომა არ ითაკილეს, რომ როგორმე ფიზიკურად გადაერჩინათ თავისი საყვარელი პიროვნებები.

ეს მოყვასის მიმართ შეწირული მსახურებაა.

- ჩვენს ურთიერთობებში დიდი პრობლემები მაშინ იწყება, როდესაც ცოდვას ვეხებით და წყენა და გულისტკენა ჩნდება. როგორ მოვიქცეთ?

- ცოდვის პირველი უცილობელი წამალი სინანულია.

თუ შენ ხარ დამნაშავე, ბუნებრივია, ბოდიში უნდა მოიხადო, აღიარო დანაშაული, მიხვიდე მასთან, ვისაც გული ატკინე და სთხოვო პატიება. ეს შენი ვალდებულებაა. თუმცა ადამიანებს ზოგჯერ უჭირთ ამ ნაბიჯის გადადგმა და პატივმოყვარეობის დაძლევა, რაც ფრიად სამწუხაროა.

- როგორ ვიგრძნოთ, გულით ვაპატიეთ, თუ არა სხვას დანაშაული?

- ***პატიება ნიშნავს არა მარტო იმას, რომ სამაგიეროს არ მიაგებ მას, არამედ იმასაც, რომ დაფარავ და არ განაცხადებ შენი შემცოდის ცოდვას. უფრო მაღალი საფეხური კი გულისხმობს იმ მდგომარეობას, როდესაც ამ ადამიანს შენ სიკეთით უპასუხებ.***

- შეიძლება ნაკლებად შემცოდეს შეუნდო, მითუმეტეს, თუ იგი შენდობას ითხოვს, მაგრამ როგორ შევიყვარო მტრები, ისინი, რომელნიც უსამართლოდ, საშინლად გვექცევიან?

- ცოდვა, რა თქმა უნდა, არ არის ის, თუ ასეთ დამნაშავეს სამართლებრივ ფარგლებში პასუხს მოთხოვ, მაგრამ ეს ურთიერთობის შედარებით დაბალი დონეა.

საერთოდ კი, შენ უნდა მოინდომო, მას აუხსნა საქმის რეალური ვითარება, რომ გაღიზიანება დაიძლიოს; მაგრამ თუ ეს ქმედება ამაო გამოდგა, იგივე ახლა სხვათა საშუალებით გააკეთე; ხოლო თუ შედეგი ამ შემეთხვევაშიც ვერ მიიღე, ეცადე ღვთის სადიდებლად დაითმინო ცილისწამება, რითაც შენს სხვა მრავალ ცოდვას აღხოცავ და სულიერადაც ამაღლდები; მაშინ ,,მტრის" შხამიანი ქმედებების მიღმა დაინახავ,

(გაგრძელება გვ.7)

# საქართველოო-გოლგოთაზე უფრო ციცაბოვ

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრთან არსებულ საბიბლიოთეკო გაერთიანებაში რა დროსაც არ უნდა მივიდე, იქ მუდმივად მხვდება თბილი ატმოსფერი, მაღალი მომსახურება და რაიონის საზოგადოების გამორჩეული ადამიანები, -ჩვენი ბიბლიოთეკარები. ჩემთვის და არა მარტო ჩემთვის, ეს ადგილი გახლავთ ლიტერატურული სალონი, ნავთსაყუდელი, სადაც ადამიანური ღირებულებები, ურთიერთობები და წიგნიერი ენით საუბარი ყველაზე მაღალ ხარისხშია აყვანილი.

24 აპრილს სწორედ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრთან არსებული საბიბლიოთეკო გაერთიანების მიერ გამართული მორიგი ღონისძიების მომსწრე გავხდით, სახელწოდებით „საქართველოო-გოლგოთაზე უფრო ციცაბოვ", მიძღვნილი საბიბლიოთეკო კვირეულისადმი. აღნიშნული საღამო ათწლეულების მანძილზე ჩატარებულ ღონისძიებათაგან ყველაზე უფრო ორიგინალური, საუკეთესო და გამორჩეული გახლდათ განვლილ ღონისძიებათაგან. ამ განსაკუთრებულობას ხაზს უსვამდა იმ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, რომლითაც გაჯერებული იყო ეს შეხვედრა. საღამო სიმღერით „ჩემო კარგო ქვეყანავ" გაიხსნა, რომელსაც დამსწრე საზოგადოება ფეხზე წამოდგომით უსმენდა. მე ყოველთვის მოხიბლული ვარ და დიდი ინტერესით ვუსმენ ხოლმე საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელის ქალბატონი მანანა მაჭარაშვილის და ბიბლიოთეკარის თინათინ ელაშვილის მიერ მომზადებულ თემატურ მასალებს, იმედი არც ამჯერად გამცრუებია და მართლაც ამაღელვებელი მასალების მოსმენა მოგვიწია. მით უმეტეს, რომ ეს ყველაფერი მუსიკის და დიდ ეკრანზე გამოტანილი ფოტომასალის თანხლებით იქნა წარმოდგენილი. თინათინ ელაშვილმა წარმოგვიდგინა მასალა „ათასჯერ დაფლეთილი და მკვდრეთით აღდგენილი ქართველი ერის ისტორია 26 მაისიდან 9 აპრილამდე და დღეს", ხოლო სიყვარულის თემაზე „როგორ უყვარდათ საქართველოში" წარმოადგინა მასალა თავად მანანა მაჭარაშვილმა. საინტერესო კუთხით გახლდათ განხილული სოფელ ხორნაბუჯის ბიბლიოთეკარის თამარ ზურაშვილის მიერ წარმოდგენილი მასალა „ენა ჩვენი ქართული", რომელიც, ცხადია, ენის სიწმინდესთან დაკავშირებულ საკითხებს და განვლილ ისტორიას მოიცავდა.

- „მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო, გთავაზობთ ზეპირ ჟურნალს მიძღვნილს საბიბლიოთეკო კვირეულისადმი, რომელიც ყოველ წელს ტარდება საქართველოში. ზეპირი ჟურნალის ფორმატი თავისუფალია, ამდენად, ჩვენ დღეს მის ფურცლებზე ხან საქართველოს ისტორიას გადაგიშლით, ხან ენის რთულ ლაბირინთებს მოგატარებთ და ბოლოს კაცობრიობის ამშენებლის-სიყვარულის თემასაც მოგაწვდით მოკრძალებულად. გპატიჟებთ ამ სივიწროვეში და მდუგმურობაში, მაგრამ ქართველის გონთან და გენთან მატერიალური გაჭირვება რა სათქმელია და ჩვენც, ახალი შენობის მოლოდინში ჟურნალის პირველ გვერდს გადაგიშლით." - აღნიშნა შესავალ სიტყვაში ხელმძღვანელმა მანანა მაჭარაშვილმა.

თავად მის მიერ წარმოდგენილი ფურცელი კი იმდენად მომეწონა, რომ არ შემიძლია, მცირედით მაინც არ მოვიყვანო მისი სიტყვები, მით უმეტეს, როდესაც დღეს სიყვარულის და პატრიოტიზმის დეფიციტს განვიცდით. „ჩემი გვერდი ეხება მტრობით დანგრეულის მაშენებლის-სიყვარულის თემას. ქართველი ომში ხმალს იქნევდა, მღეროდა, გუთანს და ხარ-კამეჩს მიწას ახვნევინებდა, მღეროდა, უხაროდა- ლექსით ამბობდა, სწყინდა და მარგალიტის ცრემლებით ასხამდა სიყვარულს სადიდებელს. იმდენი კარგი და ისტორიულად დასაბუთებული რამ ითქვა, რომ ენა აღარ მიბრუნდება "ენა, მამულის, სარწმუნოების "შემდეგ სხვა საკითხს შევეხო, მაგრამ, გავბედავ და მოგიყვებით, როგორ უყვარდათ საქართველოში." - ამბობდა ქალბატონი მანანა და სიყვარულის თემას ქართულ მწერლობასა თუ პოეზიაში შექმნილი მარგალიტების გახსენებით ეხმიანებოდა.

„საქართველო გულში ვარდად ამყავებია, მასზედ მეტად თვით სიცოცხლეც არ მყვარებია!" - ასე მღეროდნენ საქართველოში, მღეროდნენ და იბრძოდნენ სამშობლოსათვის, იბრძოდნენ და იღუპებოდნენ, თავს სწირავდნენ მამულის კეთილდღეობას, თავისუფლებას და კეთილ მომავალს, ჩვენი ქვეყნის გადარჩენის საიდუმლო ღვთის განსაკუთრებულ სიყვარულსა და ერთგულებაში უნდა ვეძებოთ."-ამბობს თინათინ ელაშვილი და თავის სიტყვას შოთა ნიშნიანიძის ლექსით ასრულებს:

ღონისძიებას ესწრებოდნენ დედოფლისწყაროს გამგეობის თანამშრომლები, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე გივი გიგაური, მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ თამაზაშვილი, ქალბატონი ნანული ნატროშვილი, ასევე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრის ხელმძღვანელი ნინო ბახუტაშვილი, დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი ლალი გურასპაული და სხვები. სასიხარულო გახლდათ ყველასთვის, რომ ღონისძიებას ესწრებოდა ჩვენი ქვეყნის პრემიერის ირაკლი ღარიბაშვილის დედა, ქალბატონი მარინა ყორღანაშვილი. მან დიდი მადლობა მოახსენა ბიბლიოთეკის თანამშრომლებს და მათ ხელმძღვანელობას წლების მანძილზე გაწეული ღვაწლისთვის და უკეთესი მომავალი უსურვა. ქალბატონმა თამარ თამაზაშვილმა და ნინო ბახუტაშვილმა კი, დამსწრე საზოგადოებას და ბიბლიოთეკარებს სასიხარულო ინფორმაცია ამცნეს და განაცხადეს, რომ წელს აუცილებლად მოგვარდება საბიბლიოთეკო გაერთიანების ცალკე შენობაში გადასვლის საკითხი, სადაც მათ ყველა პირობა შეექმნებათ, რათა მათი მუშაობა კიდევ უფრო ნაყოფიერი იყოს.

ღონისძიების დასასრულს სიმღერები შეგვისრულეს ჩვენი საზოგადოებისთვის უკვე კარგად ცნობილმა დებმა ლიკა, მარიამ და ანა ლოლაშვილებმა.

ლალი მეხრიშვილი



# სოფლის მეურნეობის განვითარება თუ ეკოლოგიური კატასტროფა?!

*(მესამე გვერდიდან)*

მოწამლულ გარემოზე მოდის, რომელშიც ყოველი ჩვენგანი გაჭირვებით ვცხოვრობთ. ამ ვითარებაში პირდაპირ გამაოგნებელია საზოგადოებისა და იმ ჩინოვნიკების ინდეფერენტულობა იმაზე (ვისაც კვების პროდუქტებზე კონტროლი ეკისრება), რომ სკოლები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, საავადმყოფოები, საზოგადოებრივი კვების ობიექტები, სასურსათო ობიექტები, ბაზრობები და მათი "წყალობით" მთელი ქვეყნის მოსახლეობა მოიხმარს იმ ადგილობრივ თუ იმპორტირებულ "საკვებ პროდუქტებს", რომლის წარმოებაზეც ათასობით ტონა მავნე ქიმიური ნივთიერებებია გამოყენებული. უარესიც, ზოგიერთი სკოლის ასობით ბავშვი იმ შენობაში ჰყავთ შეყვანილი, სადაც ათეული წლების განმავლობაში მსოფლიოს უამრავი ქვეყნიდან შემოტანილი დღეს უკვე აკრძალული, მრავალი საშიში დაავადების გამომწვევი ქიმიური ნივთიერებები ჰქონდათ გამოცდილი და დასაწყობებული, ერთ—ერთი ასეთი სკოლა მდებარეობს თბილისში ჭავჭავაძის 82—ში, რომელიც ყოფილ მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის შენობაშია განთავსებული, ამ ყოფილ დაწესებულებას მავნე ნივთიერებების გამოცდა—შესწავლის საერთაშორისო მასშტაბის 80 წლიანი ისტორია აქვს. ძლიერ ტოქსიკურ პრეპარატებს უნარი აქვთ, ათეული წლები დარჩნენ გარემოში, მით უფრო, დახურულ შენობებში და იქიდან მოახდინონ მავნე ზემოქმედება.

ამ საშინელებაში ლომის წილი მიუძღვის მთავრობას, მიუხედავად იმისა, რომ 2007 წლიდან კანონი "ბიოაგროწარმოების" შესახებ მიღებულია, დღემდე სერიოზული არაფერი გაკეთებულა. პირიქით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზებით და აქტიური ხელშეწყობით, საქართველო ამიერკავკასიის მეშხამეობის იმპორტ—ექსპორტის მსხვილ საერთაშორისო ცენტრად ჩამოყალიბდა.

კანონის მიღების მიუხედავად, დღემდე უცნობია, რა რაოდენობის გენმოდიფიცირებული ორგანიზმებია საქართველოში საკვების თუ თესლეულის სახით, გაურკვეველია იმ საკვების მოცულობა, რომელიც დამზადებულია ჰორმონალური კვების, არაბუნებრივი ჰიდროპონიკის, მავნე აგრო-ნანო-ტექნოლოგიების გამოყენებით, აგრეთვე უცნობია იმ ემულგატორების და საკვებ—დანამატების მავნე ზემოქმედების შესახებ, რომლებიც მრავლად გამოიყენება ქვეყნის კვების სისტემაში. ყოველივე ზემოთ თქმულის მიმართ, წაყრუების და გამოუსწორებლობის შემთხვევაში, ადვილად შესაძლებელია, რომ ჩვენი ქვეყანა რამდენიმე წლის შემდეგ ეკოლოგიური, დემოგრაფიული და ფიზიკური კატასტროფის წინაშე აღმოჩნდეს.





სოფლის მეურნეობის განვითარების ყველაზე სწრაფი, პერსპექტიული და ეფექტიანი საშუალება ბიოაგროსექტორის განვითარებაა. როგორ უნდა წაახალისოს სახელმწიფომ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოება, ხელი შეუწყოს ბიომეურნეობების ჩამოყალიბებას, ბიოტექნოლოგიების, ბიოსასუქების, ბიოპრეპარატების წარმოებას და ბიო პროდუქციის რეალიზაციას, ამ საკითხებს განიხილავდა ზურაბ ბაწელაშვილი საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტების საკრებულოების წარმომადგენლებთან ერთად კაჭრეთის სასტუმრო „ამბასადორში".

შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენს ქვეყანაში წარმოებულ მავნე ქიმიკატებით გადატენილ პროდუქციას არც შიდა და არც, მით უფრო, გარე ბაზარზე არავინ შეიძენს, ეს უცხოელებმა უკვე კარგად იციან და ჩვენი მოსახლეობაც მალე გათვითცნობიერდება. ასე რომ არ იყოს ინდოეთის, ჩინეთის, ტაილანდის, თუ სხვა განვითარებადი ქვეყნების მთავრობები მილიარდებს არ დახარჯავდნენ სუფთა პროდუქტის წარმოებაზე, აღარაფერს ვამბობ განვითარებულ ქვეყნებზე, სადაც ბიოპროდუქციაზე ბუმი უკვე დიდი ხანია არსებობს. აქ საკვირველი კიდევ ის არის, რომ თუ აქ ჩამოთვლილი ქვეყნების მთავრობები, რომლებსაც ჭარბმოსახლეობა სერიოზულად აწუხებთ, უფრთხილდებიან თავის ხალხს, 4 მილიონიან საქართველოს ხომ მეტად სჭირდება გაფრთხილება?!

ფერმერები ამბობენ, რომ ბიოსექტორის დანერგვა მათთვის საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. მეცნიერთა აზრით კი, ბიოპროდუქტების წარმოება სულაც არ ჯდება ძვირი. ბიოფერმერს თანხა ძირითადად წარმოების ინსპექტირებასა და სერთიფიკატის აღებაზე ეხარჯება. თუმცა, მათ ავიწყდებათ სამომხმარებლო ბაზრის პრინციპი, სადაც სერთიფიცირებისა და ჯანსაღი კონკურენციის პრობლემა სერიოზულად დგას. პროდუქტს, რომელსაც აწერია „ბიო", შესაძლოა, სულაც არ იყოს ბიოლოგიურად სუფთა და ეს ნიშანიც მომხმარებლის მოსაზიდად იყოს გამიზნული. კანონი, რომელიც სერტიფიცირების პროცედურებს არეგულირებდა, დროებით, 2012 წლამდე შეჩერდა და კანონქვემდებარე აქტად გადაკეთდა. კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც გლეხს ბიოსექტორის განვითარებაში ერთგვარ მუხრუჭად ევლინება, საქართველოში საცდელი და სათესლე მეურნეობების არარსებობაა. არადა, ბიოსექტორის განვითარების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად შევამცირებთ როგორც ჩვენი ჯანმრთელობის დარღვევის, ისე ბუნების დაბინძურების რისკებს. ინფორმაციისთვის, საქართველოში გარემოს ჯამური დაბინძურების დაახლოებით 1/3 მოდის აგრარულ სექტორზე. დაბინძურების შედეგად კი მცირდება ყველა სახის მოსავალი, უარესდება წარმოებული პროდუქციის ხარისხი, იზრდება პროდუქციის თვითღირებულება, აგროწარმოება რჩება საქმიანობის შრომატევად სფეროდ...

მომგებიანი სამეურნეო წარმოების ინტენსიური მეთოდების გამოყენებას თან სდევს მიწის დეგრადაცია, ნიადაგისა და ჰაერის დაბინძურება, რაც საბოლოოდ ჩვენი და ჩვენი მომავალი თაობის ჯანმრთელობაზე სავალალო ასახვას პოულობს. აგრარული სექტორის ხელშეწყობის მიზნით შექმნილი მილიარდიანი ფონდი შესამჩნევად კი დაეხმარა ფერმერებს, მაგრამ წლობით დაგროვილ პრობლემებს ჯერ ვერ მოერია. ამიტომ მთავრობისა და ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით იქმნება "საქართველოს განვითარების ბანკი", მის შესახებ საკანონმდებლო პაკეტი პარლამენტში უკვე ინიცირებულია.

კანონპროექტის თანახმად, "საპარტნიორო ფონდის" რეორგანიზაციის შედეგად იქმნება სააქციო საზოგადოება — "საქართველოს განვითარების ბანკი". კანონპროექტი განსაზღვრავს ბანკის შექმნის, საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს და ფუნქციებს. კერძოდ, "განვითარების ბანკი" უფლებამოსილი იქნება, განახორციელოს სესხების გაცემა კომერციული ბანკის მეშვეობით, გარანტიების გაცემა, დაზღვევის ოპერაციები, ობლიგაციების გამოშვება, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობა.

იმედია, ეს ბანკი ილიასეული საადგილმამულო ბანკის ანალოგი იქნება და როგორც მთლიანად სოფლის მეურნეობის აღორძინებას, ასევე ბიოსექტორის განვითარებასაც შეუწყობს ხელს.

ინგა შიოლაშვილი

# პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლე

(მეხუთე გვერდიდან)

რომ შენი შეურაცხმყოფელი, ფაქტობრივად, თავისი ნებით წირავს თავს შენი განწმენდისათვის და ამასთან, უღირსი საქციელის გამო, საკუთარ თავს გაუცნობიერებლად, ღვთის რისხვას უმზადებს.

განა რა უნდა იყოს ამაზე მეტი სასჯელი მისთვის! შენ კი, თუ გონიერი ხარ, ასეთ პიროვნებაში დიდ კეთილისმყოფელს აღმოაჩენ, შეიბრალებ და შეიყვარებ მას.

ასე რომ, ჩვენი პირადი მტრის შეყვარება შესაძლებელია!

გავიხსენოთ მამა გაბრიელი (ურგებაძე), – აღმსარებელი და სალოსი.

მოგეხსენებათ, სალოსობის ინსტიტუტი, ძველი დროიდანვე იყო ცნობილი მართლმადიდებლობაში, მაგრამ ამ გზით მავალნი ძალიან ცოტანი იყვნენ;

ისინი ყველას დასანახად ისე იქცევიან, რომ თავის არარაობას გაუსვან ხაზი და სხვათა თვალში დამცირდნენ. ანუ სალოსები მარტო კი არ ითმენდნენ შეურაცხყოფას, არამედ საზოგადოებაში ხელს უწყობდნენ მათზე უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, რათა ყველასაგან ფარული, დიდი ღვაწლი ლოცვისა ეტვირთათ არა მარტო ცალკეული პიროვნებისა და ერისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის.

ასე იცხოვრა მამა გაბრიელმაც, — დაიმდაბლა თავი და ამიტომაც ამაღლდა.

არანაკლები მადლმოსილება აქვთ ბეთანიელ ბერებსაც, - არქიმანდრიტებს: გიორგი მხეიძესა და გიორგი-იოანეს(მაისურაძეს) და XX ს-ში გაბრწყინვებულ სხვა წმინდანებს (აღარაფერს ვამბობთ წინა საუკუნეებში მოღვაწე სხვა წმინდანებზე).

- გამოდის, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანისთვის მტერი არ არსებობს?

***- მტერი არსებობს და მისი სახელი არის ბოროტი სული, ეშმაკი, რომელიც თავისი მიზნების განსახორციელებლად იყენებს ცალკეულ პიროვნებებს, განსაკუთრებით ურწმუნოთ. აი, ვინ უნდა გვძულდეს და მოვიძაგოთ. მისი გავლენის ქვეშ მოქცეული ადამიანები კი, - გვიყვარდეს და გვებრალებოდეს, როგორც სნეულნი და ვეცადოთ, ვუმკურნალოთ მათს წყლულებს.***

არსებობს ასეთი მოკლე ლოცვა:

ღმერთო, აცხოვნე (უნდა ითქვას მაჭირვებელთა სახელი) და მისი ლოცვით მეც მაცხოვნე, – ამ სიტყვებში დიდი სიბრძნეა.

მაგრამ, მოგეხსენებათ, წამლობა ხშირად მწარეა, თუმცა მისი მიღება აუცილებელია ჩვენი გამოჯანმრთელებისთვის. ასეა ცხოვრებაშიც, სიყვარული არ ნიშნავს ყოველივეს პატიებას, დაუსჯელობას. უფალიც ხომ გვწვრთნის დანაშაულთა გამო! ამიტომაც, ჩვენც უნდა ვიცოდეთ, რომ სიყვარული არ ნიშნავს უმოქმედობას, რომ ჩვენ ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ ღირსების დაცვა და პატივმოყვარეობა, თავდაცვა და ძალადობა, სიმართლის თქმა და განკითხვა, მხილება და დაბეზღება, დათმენა და სისუსტე.

შეუძლებელია, შენი სახელმწიფოს მტრების მიმართ იყო გულგრილი და არ დაიცვა ქვეყანა, მისი წარსული და მომავალი როგორც სიტყვით, ისე ფიზიკურადაც.

შეუძლებელია, სიწმინდის ტოლფასად ცოდვის აღიარებას გაიძულებდნენ და ეს დაუშვა.

შეუძლებელია, მეგობარს, ზოგადად ადამიანს სასიკვდილოდ იმეტებდნენ, ან თუნდაც... უსამართლოდ ეპყრობოდნენ და თანადგომა არ გაუწიო მას.

უკიდურესობები არაფერში არ ვარგა, მით უმეტეს, აზროვნებაში. ამ სფეროში უკიდურესობებს მივყავართ ან ფანატიზმამდე, ან ფსევდოლიბერალიზმამდე. ორივე გადახვევაა ჭეშმარიტებიდან და, ამდენად, მიუღებელიც.

***პიროვნების სწორად ჩამოყალიბება დამოკიდებულია ოჯახში აღზრდაზე. ეს გარემო, სასწავლებელთან და ეკლესიასთან ერთად, გადამწყვეტ როლს ასრულებს ახალგაზრდის ფორმირებაში.***

კომუნისტური რეჟიმის პიროებში ბევრი რამ დამახინჯდა, გაუკუღმართდა, მათ შორის, შვილებისადმი სიყვარულიც. მშობლები თავისი გაგებით უფრთხილდებიან მათ და ცდილობენ, ჰქონდეთ საუკეთესო ჩასაცმელი, არაფერი ეტკინოთ, არ ეწყინოთ, არ დაიღალონ, არამედ გაერთონ და ისიამოვნონ... ანუ უქმნიან სასათბურე პირობებს და თავისდაუნებურად ბავშვებში ეგოისტურ სულს აღაზევებენ.

ეს არის გაუცნობიერებელი მტრობა შვილების მიმართ!

ასეთი დამოკიდებულების შედეგად ახალგაზრდა უსუსური ხდება, არა აქვს შინაგანი სიმტკიცე, ხშირად იჩენს სიმხდალეს, მუდმივად ეძებს საყრდენს და სხვაზეა დამოკიდებული, დაქვეითებული აქვს აზროვნებაც და სიცოცხლისუნარიანობაც; ამასთან, არის ამბიციური და „მე"-ზე ორიენტირებული.

ეს ყველაფერი სხვადასხვა ეკონომიური შესაძლებლობის მქონე ფენაში სხვადასხვა სახით ვლინდება, თუმცა დიდ ნაწილში ერთი საერთო მდგომარეობა შეიმჩნევა, – არსებულით დაკმაყოფილება, უინიციატივობა და მიშვებულობა.

ხშირია შემთხვევები, როცა მათ ბევრი რამ აკლიათ, მაგრამ ეზარებათ ვითარების გამოსწორებისათვის ზრუნვა. შედარებით უკეთეს მდგომარეობაში მყოფნიც, ზედმეტად თავს არ იწუხებენ, რადგან არა აქვთ ძიების სურვილი. ეს მოსწავლეები და სტუდენტები ამთავრებენ რა სასწავლებელს, ამთავრებენ ურთიერთობას წიგნთან და მხოლოდ ინტერნეტის თამაშებით იქცევენ თავს.

ბევრი მიიჩვია უშრომელად, ან შედარებით იოლი საქმიანობით, თავის გატანას და აღარ ეძებს სხვა გზებს მდგომარეობის გამოსასწორებლად; ამასთან, თუ ერთხელ არ გაუმართლა მცდელობამ, უიმედობა იპყრობს, დეპრესიული ხდება და იწყებს ცხოვრების კიბეზე კიდევ უფრო დაღმა დაშვებას. ამიტომაც გამრავლდა ნარკომანია, ლოთობა, ქურდობა, მკვლელობა, ალვირახსნილობა...; ეს ყველაფერი არასწორი აღზრდის შედეგია.

ჩვენი შვილები თავიდანვე ძლიერ პიროვნებებად უნდა აღვზარდოთ და, პირველ რიგში, ღვთის სიყვარული და იმედი შთავუნერგოთ; იმედი იმისა, რომ თუ სწორად იცხოვრებენ, მარტონი არასოდეს იქნებიან და პრობლემებს უფლის შეწევნით აუცილებლად გადალახავენ.

ამასთან, პატარები უნდა მივაჩვიოთ შერიგებას, წყენის დავიწყებას, მეგობრებისადმი და, საერთოდ, ადამიანისადმი ერთგულებას, მადლიერებას, სხვის დახმარებას, სწორედ იმის გაღებას, რაც თვითონ ყველაზე მეტად უყვარს და სხვისი სიხარულით გახარებას, უნდა მივაჩვიოთ სამართლიანობას, ამტანობას, ტკივილის გაძლებას, რთულ სიტუაციაში გამოსავლის პოვნას, რა თქმა უნდა, შრომასა და წიგნის კითხვას; ანუ მოვამზადოთ ცხოვრებისათვის.

ფიზიკური და ინტელექტუალური დატვირთვა აუცილებელია ჯანსაღი თაობის აღსაზრდელად, რომ საჭიროების შემთხვევაში თავიც დაიცვას და სხვაც, ამასთან, გაარჩიოს, სად არის შავი და სად – თეთრი, რა არის კარგი და რა – ცუდი პირადად მისთვის, მისი ოჯახისათვის, ახლობლებისა და ქვეყნისათვის, რომ თავის შინაგან სამყაროში იგრძნოს სილაღე, თავისუფლება, სიძლიერე და სიყვარულით აღვსილი ამ თვისებების სხვათათვის გამზიარებელი იყოს სიცოცხლის ბოლომდე.

***ამ მიზნის მისაღწევად დედ-მამამ პირადი მაგალითი უნდა უჩვენონ და, ამავე დროს, ურთიერთპატივისცემითა და შეთანხმებულად უნდა იმოქმედონ.***

ქართველი ქალი ყოველთვის იყო ოჯახის დედა-ბოძი და დღესაც, ემანსიპაციის პირობებში, ისევ მან უნდა შეძლოს მთავარი გამაწონასწორებელი როლის შესრულება ოჯახში და ყველა წევრის ჩაბმა მომავალი თაობის სწორად აღზრდის პროცესში (აქ იგულისხმება ოჯახური საუბრები, საინტერესო თემების განხილვა და სხვა).

სახელმწიფოს ვალდებულებაა, ბავშვები დაიცვას მავნე ზეგავლენებისაგან, შესთავაზოს სწორად დაგეგმილი სასწავლო პროცესი და ამასთან სკოლიდანვე შეაჩვიონ პატარები ანალიტიკურ აზროვნებას; უნდა შეიქმნას ფილოსოფიური და ლიტერატურული წრეები, სადაც მოსწავლეები წაიკითხავენ საინტერესო წიგნებს და გაარჩევენ მათ, დაწერენ თავისუფალ თემებს და იმსჯელებენ სხვადასხვა საკითხზე.

ახალგაზრდებმა და, საერთოდ, ნებისმიერმა პიროვნებამ, ღრმა აზროვნების განსავითარებლად საჭიროა იკითხონ როგორც სასულიერო წიგნები, ისე მხატვრული, ფილოსოფიური, ისტორიული, ფსიქოლოგიური და საბუნებისმეტყველო ლიტერატურა; ამის გარეშე მათი ხედვის დიაპაზონი ვიწრო იქნება და ვერ გააკეთებენ სწორ არჩევანს.

ისინი უნდა აკონტროლებდნენ თავის ფიქრებს, უნდა იცოდნენ, სად არის ოქროს შუალედი, სად უნდა დაედოს ზღვარი მათს აზროვნებას, რომ უფლისაგან მონიჭებული არჩევანის უფლება და თავისუფლება ბოროტის მსახურებად არ აქციონ. თუ ეს განხორციელდა, მაშინ მშობლებს შეუძლიათ ჩათვალონ თავისი ვალი შვილებისა და სამშობლოს წინაშე აღსრულებულად.

დაახლოებით ასეთია მორწმუნის დამოკიდებულება ბედნიერებისადმი.

ყოველივე ზემოთქმული კი ემსახურება ერთ მიზანს, რომ ჩვენ ვისწავლოთ იმ გზებით სიარული, რომელიც ნამდვილ ბედნიერებასა და სიყვარულს გვაზიარებს და რწმენით, ჭეშმარიტებით, სიწმინდით, სიკეთითა და სიხარულით აღგვავსებს.

ამ მადლს არცერთი ეპოქა არ მოიცავდა სრულად, მაგრამ არც ისეთი დრო ყოფილა ოდესმე, რომ სრულად განძარცვლი ყოფილიყო იგი ამ წყალობათაგან.

დღესაც, ტექნიკის განვითარებისა და მისი ბატონობის პერიოდში, ამბიციურობის, ცრუ ჰუმანიზმის, ნელ-თბილი რწმენისა და ბოროტთან საიდუმლო გარიგების ხანაში, კვლავ გვესმის აღდგომილი მაცხოვრის იმედისმომცემი და განმამტკიცებელი ხმა:

„მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა" (მთ. 28,20)!

მაშ, ვისი მეშინოდეს, ან ვისგან შევძრწუნდე?

მართალია, ბოროტი ძალა გამუდმებით გვებრძვის, მაგრამ მასზე განუზომლად ძლიერი და დაუსაბამოა ღმერთი, რომელიც მუდამ ჩვენთან არის და დღესაც

სააღდგომო ტრაპეზზე გვიხმობს: ქართველებს, ოსებს, რუსებს, აფხაზებს, ბერძნებს, იეზიდებს, უდიებს, ასირიელებს, ებრაელებს, აზერბაიჯანელებს, სომხებს, უკრაინელებს,... როგორც მესამე, ისე მეთერთმეტე ჟამის ქრისტიანებს.

მაშ, რომელნი ხართ კეთილ მსახურნი და ღმრთისმოყვარენი, იშვებდით კეთილსა ამას და ბრწყინვალესა კრებასა; რომელი არს მონაჲ კეთილგონიერი, შევედინ სიხარულით სიხარულსა ამას უფლისასა... და ყოველთავე მიიღეთ სიმდიდრე სიტკბოებისა..., რამეთუ აღსდგა ქრისტე და დაირღვა ჯოჯოხეთი; აღსდგა ქრისტე და დაეცნეს ეშმაკნი; აღსდგა ქრისტე და ცხოვრება მოქალაქობს, აღსდგა ქრისტე და არცაღა ერთი მკუდართაგანიც არს საფლავსა შინა, აღსდგა ქრისტე მკვდრეთით და იქმნა იგი დასაბამ შესვენებულთა, რომლისა არს დიდება და სიმტკიცე, უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

**სიყვარულით თქვენთვის მლოცველი**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,

მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი,

ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი

ილია II

აღდგომა ქრისტესი 2014,

20 აპრილი.

**მეუფეო! გილოცავთ, ჩემი მოკრძალებული ლექსით საიუბილეო თარაღს, სულიერ ქარცეცხლში გამოვლილ წლებს, კიდევ ერთი ლამაზი წელი შეგემატათ.**

თქვენ ერთმა იცით, ქრისტეს სამწყსო საითაც მიდის,
რომ სულს არასდროს მოეფინოს ცოდვების ბინდი.
ჰატიოსნების კარავს ლოცვით ზეცაში შლიდით,
ვმადლობდეთ უფალს, გვაქვს თუ არ გვაქვს ყოველი დღისთვის.
მე მიხარია, გულით ვხარობ ვნატრობდი იმას,
რომ ბედნიერი ვყოფილიყავ თქვენი მოვლენით,
შევავედრებდი თქვენს სიცოცხლეს ზეციურ წვიმას,
თქვენს ეკლიან გზას გადავთელავ დიდი მოთმენით.
სიცოცხლე თქვენი შემკულია ოდეს განგებით,
გამოგაგზავნეს ჩვენი სულის გადასარჩენად,
როცა ჩამესმის თქვენი ხმა და ლოცვებით ვტკბები,
საგზლად მიმყვება კრძალულება და დიდი რწმენა,
უსასრულოა ეს სამყარო-განსაცდელებით,
დღე-დღეს აბარებს თავის სათქმელს, ღამე გვაფიქრებს.
არ გვიფარავდეს ღვთისმშობელის სათნო ხელები.
შიშით არ გვმინავს, სული-სხეულის მონად არ იქცეს.
თუ სატანჯველი გიწერიათ...მზად ვარ შევერთო!
და თქვენს სიცოცხლეს ჩაენაცვლოს თვით ჩემი სული.
კიდევ და კიდევ დამილოცე მეუფე -ღმერთო!
იფარე ლოცვით მისი სული მოწოდებული.
დაბადებულხარ ანგელოზთა ოქროს აკვანში,
ღვთის გზაზე მავალს თან დაყვებათ სულ სათნოება.
უკუნისამდე დაიმკვიდრეთ თქვენ ღვთის საფარში,
ლოცვის გარეშე ყველაფერი ბინდდება, ქრება.
როცა ტაძარში მობრმანდებით, დროც კი ჩერდება.
ვიცი არასდროს დაეცემი სულო ძლიერო!
ორმაგად ვიგრძენ ჩემი გულის გაფრენა ღმერთთან,
ჩემო მეუფე, ღმერთმა ლოცვით გაგაძლიეროთ.

**პატივისცემით,** მაია მოსულიშვილი

# აღდგომა დედოფლისწყაროში



აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, დედოფლისწყაროს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში, ღამისთევის მსახურება ყოვლადუსამღვდელოესმა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის ეპისკოპოსმა მელქისედეკ ხაჩიძემ აღასრულა. ასევე ჩატარდა ლიტანიობაც, ხოლო წირვის დასრულების შემდეგ მეუფე მელქისედეკმა ქადაგებით მიმართა მრევლს და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა.

აღდგომის დღეები მეუღლესთან, ნუნუკა თამაზაშვილთან ერთად დედოფლისწყაროში გაატარა პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა. პრემიერი სოფელ ხორნაბუჯში, მშობლების სახლში იმყოფებოდა, მეორე დილას კი ტრადიციულად ახლობლების საფლავებს ეწვია. თვითმხილველების განმარტებით, პრემიერი სასაფლაოზე მყოფ მოქალაქეებსაც მიესალმა. იმის გამო, რომ სააღდგომო ეპისტოლე პრემიერმა მთავრობის წევრებთან ერთად სამების ტაძარში მოისმინა, ირაკლი ღარიბაშვილი დედოფლისწყაროს კვირას ეწვია.



გასულ წელსაც ღარიბაშვილი აღდგომის დღესასწაულს ოჯახთან ერთად დედოფლისწყაროში შეხვდა. თუმცა, წლევანდელისგან განსხვავებით, შარშან ღამისთევას დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში დაესწრო. პრემიერ-მინისტრმა გასულ წელს დედოფლისწყაროში რამდენიმე ღირსშესანიშნავი ადგილი მეუღლესთან ერთად დაათვალიერა და სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალისა და „ქოჩების ტბის" ტერიტორიებზეც იმყოფებოდა.

ამჯერად, ღამისთევას დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში დაესწრო კახეთის გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილი. მსახურებას დედოფლისწყაროს გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილიც ესწრებოდა. მანამდე, გუბერნატორი შირაქის ველებზე სოფლის მეურნეობის მინისტრთან ერთად იმყოფებოდა, მოგვიანებით კი ამერიკული ორგანიზაციის მიერ გამოგზავნილი სამედიცინო აპარატურით დატვირთული კონტეინერების დედოფლისწყაროში შემოსვლის პროცესს დაესწრო.

ილია მარტყოფლიშვილი

გია ჯერვალიძე, ნანა ყაზარაშვილი, მარინე ბაცაცაშვილი, გია გონაშვილი, სოსო გოგაშვილი, ომარ ალადაშვილი, ჯემალ კოტაშვილი, გურამ ნიკოაშვილი, ნელი ღვინიაშვილი, ნორა სულაშვილი, ბერდო ნასრაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ თამაზ, ნანა, რამაზ, მაკა, თემურ, ნანა, დათო, ლექსო ჯიბლაშვილებს დედის და ბებიის

მაყვალა ჯიბლაშვილის

გარდაცვალების გამო.

შვილი გიორგი ბოსტოღანაშვილი; რძლები: მაგული გოგიძე, ლია პაპუაშვილი; ნინო გურეშიძე; შვილიშვილები: ზაზა, ნანა, მიშიკო, მაია ბოსტოღანაშვილები; შვილთაშვილები: მარიამ მეიფარიანი, ლაზარე ბოსტოღანაშვილი; სიძე ბესიკ მეიფარიანი. ძმისშვილები: თამაზი, იაგო და მზია ყოჩიაშვილები იუწყებიან

ნინა ბოსტოღანაშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 24 აპრილს, სოფელ ჯაფარიძეში.

# ახალგაზრდული ასამბლეა გაეროს შტაბ-ბინაში



ახალგაზრდული ასამბლეის ზამთრის სესიებში მონაწილე ქართველ მოსწავლეებსა და სტუდენტებს სიგელები გადაეცათ. სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლისა და სკოლის 25 დელეგატს პროექტში წარმატებული მონაწილეობისთვის სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში" სერტიფიკატები და სიგელები გადასცეს. მათ შორის დედოფლისწყაროელი სტუდენტი კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის ფაკულტეტის სტუდენტი 19 ელის სანდრო ხარაზიშვილიც მოხვდა.

მოზარდებმა ამერიკის შეერთებულ შტატებშიც იმოგზაურეს. ნიუ-იორკში მდებარე გაეროს შტაბ-ბინაში ქართველი ახალგაზრდები მიმდინარე წლის 3 თებერვალს ჩავიდნენ და რამდენიმე დღის განმავლობაში სხვადასხვა პროექტში აქტიურად იყვნენ ჩართულები.

აღნიშნული პროექტი არასამთავრობო ორგანიზაცია „მრავალეროვანი საქართველო - დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებისთვის" ორგანიზებით განხორციელდა.

ახალგაზრდებისთვის სერტიფიკატების გადაცემის ცერემონიას სამთავრობო, არასამთავრობო და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. დაჯილდოების ცერემონიაში მონაწილეობა მედია-კავშირ „ობიექტივის" ერთ-ერთმა პროდიუსერმა თამთა ღლონტმაც მიიღო.

როგორც ორგანიზაცია „მრავალეროვანი საქართველო - დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებისთვის" ხელმძღვანელმა რიტა პროკოპენკომ ჟურნალისტებს განუცხადა, ქართველი ახალგაზრდები ნიუ-იორკში 7 დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ, აქედან 3 დღის მანძილზე გაეროს სესიებს ადევნებდნენ თვალყურს.

მათ შორის იყვნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია და აშს-ს საელჩოს წარმომადგენელი.

პროექტში მონაწილე სტუდენტებსა და მოსწავლეებს გაეროს შტაბ-ბინაში კომპანია "მარიგოლდის" მიერ შექმნილი ქართული, ტრადიციულ ორნამენტებში შექმნილი ტანსაცმელიც ჰქონდათ წაღებული, რითაც ასამბლეაში მონაწილე სხვა ქვეყნის ახალგაზრდებს ქართული კულტურა გააცნეს.

მადლობის სიგელები იმ სასწავლებლებმა და კომპანიებმაც მიიღეს, რომლებმაც პროექტის განხორციელებას შეუწყვეს ხელი. მოსწავლეთა და სტუდენტთა შორის ხუთი აფხაზეთიდან დევნილია.

გაზეთი „შირაქი" პროექტის დეტალებით დაინტერესდა და მასში მონაწილე ერთადერთ დედოფლისწყაროელ სტუდენტს შეხვდა, რომელსაც ამერიკული შთაბეჭდილებებისა და მიღებული გამოცდილების შესახებ ვესაუბრეთ.



სანდრო ხარაზიშვილი: „არასამთავრობო ორგანიზაცია „მრავალეროვანი საქართველო - დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებისთვის" ამგვარ პროექტებს საქართველოში უკვე სამი წელია ახორციელებს. გასულ წელს მასში ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებიც მონაწილეობდნენ და საკუთარი პროექტის განსახორციელებლად გრანტი მოიპოვეს. ამჯერადაც, რამდენიმე თვის წინ პროექტის პრეზენტაცია სწორედ ჩვენს უნივერსიტეტში გაიართა, რომელსაც მეც ვესწრებოდი. ცხადია, ჩემშიც დიდი ინტერესი გამოიწვია და დიდი სურვილი გამიჩნდა ეს ყველაფერი თავადაც მენახა. იქიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფო მართვის ფაკულტეტზე ვსწავლობ, ვთვლი, რომ ჩემთვის ამგვარი პროექტები ბევრის მომცემი იქნება და დიდ გამოცდილებას შემძენს. მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ჩემს პროფესიულ წინსვლაში. ამიტომაც, არ მიყოყმანია მასში ჩავრთულიყავი.

**– რამდენად რთული იყო შესარჩევი ეტაპი?**

– იოლი ნამდვილად არ იყო და ვთვლი, რომ გაგვიმართლა. ვწერეთ ტესტები, გავიარეთ გასაუბრებები და შეგვარჩიეს მათ შორის, რომლებიც უკვე ვიმყოფებოდით სტრასბურგში, დავესწარით სესიებს. აშშ-ში პირველად მომიხდა გამგზავრება და ძალიან შთამბეჭდავი იყო ჩემთვის. გაეროს სესიებზე დასწრებამ კი ჩემში ლიდერული თვისებები გამიღრმავა. იმხელა სტიმული მომეცა, რომ საქართველოში დაბრუნებულმა დიპლომატიისა და პოლიტიკურ აკადემიაში ჩავაბარე. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ აქ ვიღებ ისეთ განათლებას, რომელსაც სკოლასა და უნივერსიტეტში ვერ დაეუფლები. მნიშვნელოვანია ისიც, რომ აკადემიაში თეორიასთან ერთად პრაქტიკულ ცოდნასაც ვიღებთ. ისეთ უნარ-ჩვევებს ვეუფლებით, რომელიც კარიერაში ძალიან წაგვადგება. ხშირად ვხვდებით დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, ელჩებს, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს და ძალიან ბევრ სფეროში მოღვაწე საინტერესო ადამიანებს. იმდენად მრავლისმომცველი იყო ეს ყველაფერი, რომ ყველა ქართველ ახალგაზრდას ვურჩევდი, ამგვარი შანსი ხელიდან არ გაუშვან და აუცილებლად მიიღონ მონაწილეობა ასეთ პროექტებში, მაქსიმალურად გამოიყენონ საზღვარგარეთ მოგზაურობის შესაძლებლობები. ორი დღის განმავლობაში სარეზოლუციო პროექტზე ვიმუშავეთ, რომელიც საკმაოდ მკაცრი კომისიის წინაშე წარვადგინეთ და შანსი, რომელიც მომეცა, შევეცადე, რომ მაქსიმალურად გამომეყენებინა.

**– კონკრეტულად შენს მიერ შედგენილ პროექტზე რომ გვესაუბრო, რას ეხებოდა...**

– ჩემი პროექტის სახელწოდება „ახალგაზრდობა მშვიდობიანი მომავლისთვის", სადაც ქართველი, ოსი და აფხაზი ახალგაზრდებისთვის ისეთ მესამე ნეიტრალურ ქვეყანაში, როგორიცაა თურქეთი და უკრაინა ერთობლივი კონფერენციის ჩატარებას გულისხმობდა, რაც მოიცავდა სემინარებს „დასავლური ორგანიზაციების როლის შესახებ საქართველოს მომავალი წინსვლისთვის". ჯგუფში 6 ახალგაზრდა ვიყავით გაერთიანებულნი, ზოგადად პროექტში კი 25 ახალგაზრდა მონაწილეობდა.

**– გარდა ოფიციალური საქმიანობისა, თავისუფალი დრო თუ გქონდათ და ქუჩების დათვალიერების საშუალება რამდენად მოგეცათ?**

– ამის დრო ნამდვილად მოგვეცა. ღირსშესანიშნავი ადგილებიც მოვინახულეთ. ვნახეთ ნიუ-იორკის თავისუფლების ქანდაკება, შესანიშნავი ხედებით ვტკბებოდით. ერთადერთი, რასაც პროექტის მონაწილეები ვნანობთ, ისაა, რომ ბევრი მუზეუმის დათვალიერების საშუალება დროის სიმცირის გამო არ გვქონდა. შეუძლებელია, ამ ყველაფრით კმაყოფილი არ იყო.

პროექტი უკვე დასრულდა და აგვისტოში ხელახლა დაიწყება, ასე რომ ქართველ ახალგაზრდებს მასში მონაწილეობის მიღების საშუალება კიდევ მიეცემა. კარგი იქნება, თუ მასში კიდევ ჩაერთვებიან ახალგაზრდები, რათ ჩვენც ჩვენი მცირე წვლილი შევიტანოთ ჩვენი პატარა ქვეყნის აღმავლობაში და გამოცდილება შევიძინოთ".

ილია მარტყოფლიშვილი

## ულოცავენ

### დათო საკანელაშვილს!
### ლიკა ყალამაშვილს!

გილოცავთ ქორწინების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას , მტკიცე ქართული ოჯახის შექმნას. დაე, თქვენი ცხოვრების ყოველი წუთი სიყვარულის გრძნობით გამთბარი ყოფილიყოს. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

**სიყვარულით** ნიაზი და სოსო ჯანაშვილები.

### მზია ქენქაძეს!

მზია, ჩვენო ძვირფასო კოლეგავ და თანამშრომელო, გილოცავთ მეორე შვილიშვილის ანდრიას დაბადებას, ახალდაბადებულს ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ღვთის წყალობას, ბედნიერ ბავშვობას და გაბრწყინებულ საქართველოში ცხოვრებას. ანდრიას მშობლებს ილიას და ლიკას კი, ვუსურვებთ შვილებში გახარებას და ისეთი ვაჟკაცების გამოზრდას, რომ მათით ეამაყოთ.

**პატივისცემით** შენი „შირაქელები"

## რეაბილიტაცია ვაშლოვანში

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიერ ნაკრძალში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება გრძელდება.

23-24 აპრილს უსახელოს უღელტეხილზე არსებული გადასახედი მოედნისა და მიჯნისყურის ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია განხორციელდა.

ამასთან, საძოვრების მართვისა და სახანძრო უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით დედოფლისწყაროში შეხვედრა გაიმართა. არსებული პრობლემების განხილვა ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის საკონფერენციო დარბაზში მათივე ინიციატივით შედგა და მასში ადგილობრივი ფერმერები მონაწილეობდნენ.

შეგახსენებთ, ბოლო პერიოდში ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ხანძრის შემთხვევები გახშირდა. ერთ-ერთ მიზეზად მწყემსების დაუდევრობა სახელდება.




## იყიდება

ოროთახიანი, 45 კვმ ბინა, სველი წერტილებით, სამზარეულოთი, ცივი და ცხელი წყლით, ბუნებრივი აირით, ელექტროგაყვანილობით უზრუნველყოფილი. მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, რუსთაველის ქუჩა №71, კორპუსი 33.
მსურველები დაგვიკავშირდით:
577 388 237

## ყურადღება!

მიმდინარე წლის 1 მაისიდან მესაჭიროება დამხმარე- მეუღლის მოსავლელად დღის საათებში. სასურველია, ჰქონდეს სამედიცინო გამოცდილება.
დამიკავშირდით ტელეფონზე
591 977 326
ნაირა გორაშვილი

## სამკურნალო გამაჯანსაღებელი მასაჟის კაბინეტი




გიწვევთ გამაჯანსაღებელ პროცედურებზე. აქ შეგიძლიათ ჩაიტაროთ მკურნალობა ოსტეოქონდროზზე, ინსულტის შემდგომი სარეაბილიტაციო მასაჟი, ასევე, საბავშვო, თაფლის, ანტიცელულიტური, ვაკუუმური, წონის კორექციისა და გამაახალგაზრდავებელი მასაჟები. ასევე შეგიძლიათ ყურის გახვრეტა უმტკივნეულოდ, პისტოლეტით.

**ქ. დედოფლისწყარო, რუსთაველის ქუჩა №55 ან დაგვირეკეთ**
**ტელ: 593 13 40 56**

## იყიდება

იყიდება ოროთახიანი, ჩეხური პროექტის სუფთა ბინა. მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, ჰერეთის ქუჩა 2ა, კორპუსი 47, II სადარბაზო , IV სართული, ბინა 27. ფასი შეთანხმებით.
მსურველები დაგვიკავშირდით:
574 00 36 67


## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 28.04 | | სამშაბათი 29.04 | | ოთხშაბათი 30.04 | | ხუთშაბათი 01.05 | | პარასკევი 02.05 | | შაბათი 03.05 | | კვირა 04.05 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 12 ° | 11 ° | 17 ° | 13 ° | 19 ° | 17 ° | 18 ° | 17 ° | 21 ° | 20 ° | 18 ° | 17 ° | 18 ° | 17 ° |


გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს" სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.


C M Y K